# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


სამშაბათი, 4 იანვარი, 2011 წელი.

№1 (6612)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


გილოცავთ!



# სულის სიმაღლე

## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II 78 წლისაა

4 იანვარს უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II 78 წლის გახდა.

უწმიდესი და უნეტარესი (ერისკაცობაში ირაკლი გიორგის ძე ღუდუშაური-შიოლაშვილი) 1933 წლის 4 იანვარს ქ. ვლადიკავკაზში დაიბადა. მშობლებმა სამი დღის ახალშობილი, ქრისტეშობის დღეს, ქართულ ტაძარში მონათლეს და ყრმას ერეკლე II პატივსაცემად ირაკლი უწოდეს.

1952 წელს ირაკლი შიოლაშვილმა დაამთავრა ვლადიკავკაზის 22-ე საშ. სკოლა და ჩააბარა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ კი სწავლა განაგრძო მოსკოვის სასულიერო აკადემიაში.

1957 წელს სასულიერო აკადემიის II კურსის სტუდენტი ირაკლი შიოლაშვილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ III ლოცვა-კურთხევით ბერად აღიკვეცა და სახელად წმიდა ილია წინასწარმეტყველის საპატივცემულოდ ილია ეწოდა. მალე იგი ხელდასხმულ იქნა იეროდიაკვნად, 1959 წელს კი – მღვდელ-მონოზვნად.

მღვდელ-მონოზონმა ილიამ 1960 წელს დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემია. მას სთხოვეს, გაეგრძელებინა სამეცნიერო მოღვაწეობა, მაგრამ სასულიერო კადრების სიმცირის გამო, სამშობლოში დაბრუნდა და დაინიშნა ბათუმის საკათედრო ტაძარში მღვდელმსახურად. ერთგული მოღვაწეობისათვის იგი 1961 წელს აღყვანილ იქნა იღუმენის, შემდეგ კი არქიმანდრიტის ხარისხში; ხოლო 1963 წლის 26 აგვისტოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ეფრემ II მიერ ხელდასხმულ იქნა შემოქმედის ეპისკოპოსად და დაინიშნა კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად. 1963 წლიდან 1972 წლამდე იგი იყო მცხეთის სასულიერო სემინარიის – იმ დროისათვის ერთადერთი სასულიერო სასწავლებლის – პირველი რექტორი.

1967 წელს ეპისკოპოსი ილია გადაყვანილ იქნა აფხაზეთის ეპარქიაში. 1969 წელს აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში. 1977 წლის 9 ნოემბერს კი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დავით V გარდაცვალების შემდეგ წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით დადგინდა პატრიარქის მოსაყდრედ, ხოლო 1977 წლის 23 დეკემბერს არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. იმავე წლის 25 დეკემბერს მოხდა მისი ინტრონიზაცია. პატრიარქს მიეკუთვნა სახელი ილია II (ილია I საქართველოს ეკლესიას მართავდა 1600 წლის წინათ – 390-400წწ).

1978-1983 წწ. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II იყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი. იგი დაჯილდოვებულია მსოფლიოს საპატრიარქოს, ანტიოქიის, იერუსალიმის, ალექსანდრიის, რუსეთის, საქართველოს, საბერძნეთის, ბულგარეთის, რუმინეთის პატრიარქების, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის და თითქმის ყველა სხვა მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი. ნიუ-იორკის სასულიერო აკადემიამ კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ღვთისმეტყველების დოქტორის საპატიო წოდება მიანიჭა.

მისი მოღვაწეობის პერიოდში საქართველოს ეკლესიის ეპარქიათა რიცხვი 15-დან 33-მდე გაიზარდა, მონასტრებისა – 53-მდე, სასულიერო პირთა – 1000-მდე. მოხდა კანონიზირება ახალი წმინდანებისა. აშენდა საქართველოში ყველაზე დიდი ეკლესიის – წმ. სამების სახელობის საკათედრო ტაძარი.

**ამ ტაძარს მე და შენ ავაშენებთ მთელ საქართველოსთან ერთად!** 5

## არასტაბილური სტაბილურობის წელი... 2-4





## ჩვენ გვიყვარს ყველაფერი ყველაზე გრძელი და ყველაზე დიდი 3

## აფხაზეთი მანდარინის რესპუბლიკად დარჩება? 8



## პარტიების მისტერიები 4





## 7 ზესაიდუმლო რაკეტოდრომის ბატონ-პატრონი

მსჯელობენ ექსპერტები

# არასტაბილური სტაბილურობის წელი...

## 2010 წლის პოლიტიკური შედეგები და 2011 წლის პერსპექტივები

**2010 წლის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგებზე, ტენდენციებზე და ამავე სფეროებში 2011 წლის პერსპექტივებზე „ინტერპრესნიუსთან“ მოსაზრებები გამოთქვეს ექსპერტებმა კახა კაციტაძემ, რამაზ საყვარელიძემ, ზურაბ აბაშიძემ და ზაზა ფირალიშვილმა.**

### 2010 წლის საშინაო პოლიტიკის შეფასება

პოლიტოლოგისა და ფილოსოფოსის **კახა კაციტაძის** შეფასებით, **„2010 წელი უგმირო წელი იყო“**. თუ ჩვენი პრეზიდენტის მრავალ კოლორიტულ ქმედებას, ზღვაში ცურვას, თუნდაც გამოქვაბულში ჩასვლასა და ნავით სეირნობას მხედველობაში არ მივიღებთ, საშინაო პოლიტიკაში 2010 წელი გამორჩეული არ ყოფილა და სტაგნაციური წლის შთაბეჭდილება დატოვა. სამწუხაროდ, 2010 წელსაც ცუდი ტენდენცია იმ თვალსაზრისით შენარჩუნდა, რომ პოლიტიკაში, ხელოვნებაში, მედიაში, თუნდაც ბიზნესში ახალი სახეები არ გამოჩენილან, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი სახეების დეფიციტი აშკარად იგრძნობოდა.

**„სამწუხაროა, რომ ჩვენ, გარკვეულწილად, სტაგნაციურ საზოგადოებად ვყალიბდებით. ჩემში არსებული ვითარება ნელ-ნელა, ადრებრეჟნევური პერიოდის, ე.წ. ზასტოის ასოციაციას იწვევს. ყოველ შემთხვევაში, 2010 წელმა ასეთი შთაბეჭდილებები დამიტოვა“,** — დასძენს პოლიტოლოგი და ფილოსოფოსი კახა კაციტაძე.

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** აზრით, „შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებამ 2010 წელს შიდაპოლიტიკურ ასპარეზზე ყველა თავისი ამოცანა იუველირული სიზუსტით გადაწყვიტა“. ექსპერტმა 2010 წელს საშინაო პოლიტიკაში სამი მნიშვნელოვანი მოვლენა გამოყო — ადგილობრივი არჩევნები, „სახალხო კრებისა“ და „ქართული პარტიის“ ასპარეზზე გამოსვლა.

საყვარელიძის აზრით, ადგილობრივი არჩევნები უაღრესად მნიშვნელოვანი გახლდათ არა შედეგით და წინასაარჩევნო დაძაბულობით, არამედ თავისი ფილოსოფიით და მოლოდინით. ადგილობრივ არჩევნებში ქართულმა ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ძალებმა ამ არჩევნებში ის აზრი ჩადეს, რომ არჩევნების გზა არის ერთადერთი ხელისუფლების შესაცვლელად. ოპოზიციამ ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით დაანონსა, რის გამოც ადგილობრივი არჩევნები საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების რანგის მოვლენად გადაიქცა. შედეგი იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ მივიღეთ ზუსტად იგივე სურათი, რაც იყო ადრე. ანუ, ოპოზიციას საკმაოდ მცირედით დაკმაყოფილება მოუწია. საყვარელიძის განმარტებით, შიდა პოლიტიკაში მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა „სახალხო კრების“ დაფუძნება იყო, რომლის გაჩენა ადგილობრივი არჩევნების შედეგმაც განაპირობა.

**„მხედველობაში მაქვს „სახალხო კრების“ იდეა და არა ის, რაც ჯერჯერობით გვაქვს. კრება თავისი შემადგენლობით არ არის წმინდა პოლიტიკური მოვლენა, პროცესში წამყვან როლს არაპოლიტიკოსები ასრულებენ. ამ პროცესის საბოლოო სახე არ გამოკვეთილა, მაგრამ შიდა პოლიტიკაში „სახალხო კრების“ იდეა თავისი მნიშვნელობით იყო ის მეორე სიახლე, რომელიც, სავარაუდოდ, რაღაც ფორმით გააგრძელებს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას“,** — დასძენს რამაზ საყვარელიძე, რომელიც შიდა პოლიტიკაში მესამე მნიშვნელობის ფაქტად პოლიტიკურ ასპარეზზე „ქართული პარტიის“ გამოჩენას მიიჩნევს.



„რადიკალიზმის თვალსაზრისით, „სახალხო კრებასა“ და „ქართულ პარტიას“ პოლიტიკურ სპექტრში ერთი და იგივე ნიში უკავიათ. რადიკალური განწყობილებების საზოგადოება იმ ძალის გვერდით დადგება, ვინც პოლიტიკურ რადიკალიზმში უფრო ეფექტური იქნება“, — მიაჩნია რამაზ საყვარელიძეს.

ზურაბ აბაშიძის შეფასებით, „2010 წელი, **„არასტაბილური სტაბილურობის“ წელი იყო“, მაგრამ, გარკვეულწილად, 2008 წლის აგვისტოს ომისშემდგომი მდგომარეობიდან გამოსვლის პერიოდიც იყო. 2008 წლის ომიდან ქვეყანა შოკიდან ნელ-ნელა გამოდიოდა და, როგორც ეტყობა, 2010 წელს შოკი ნაწილობრივ დავძლიეთ, პოლიტიკურად, ფსიქოლოგიურად, ეკონომკურად, თუმცა 2008 წელი დავიწყებას არ მისცემია.**

მისივე აზრით, იყო იმის საფრთხე, რომ სამხედრო მარცხის შემდეგ, როგორც ეს ისტორიულად არაერთხელ მომხდარა, ერთმანეთს დავერეოდით, მაგრამ ამჯერად ასე არ მოხდა და ეს მთელი საზოგადოების დამსახურებაა.

„საერთო ჯამში, ხელისუფლებამ შესძლო თავისი პოზიციების გაძლიერება, მაგრამ ეს მოხდა არა დიდი საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევის გზით, არამედ, უმთავრესად, ოპოზიციის დაქსაქსვისა და დასუსტების ხარჯზე“, — დასძენს ზურაბ აბაშიძე, რომლის თქმითაც, ქვეყანაში გარკვეული სტაბილიზაციის მიუხედავად, მოუგვარებელი პრობლემა ძალიან ბევრია, გვაქვს ძალიან სერიოზული სირთულეები სოციალურ სფეროში, დემოკრატიის ხარისხსა და რუსეთთან მოუგვარებელ ურთიერთობებთან დაკავშირებით.

ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილის შეფასებით, 2010 წლის მთავარი ხდომილება ის იყო, რომ 2010 წელს სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ თავი დააღწიეს 2007 წლის შემდგომ კრიზისს და ხელისუფლება შეინარჩუნეს.

**„დანამდვილებით შეიძლება თქმა, რომ ხელისუფლებას არაფერი ემუქრება. თუმცა კი ეს გამარჯვება, როგორც საგარეო, ისე საშინაო ავტორიტეტის თვალსაზრისით, სააკაშვილს ძალზე ძვირი დაუჯდა. დღეს მას გაუჭირდება, საზოგადოების სიყვარულსა და მხარდაჭერაზე გათვალოს თავისი სტრატეგია და იძულებული იქნება, საბოლოოდ დაასრულოს ფასადური დემოკრატიის ის სისტემა, რომელიც უკვე 2004 წლიდან იწყებს ჩამოყალიბებას“,** — აღნიშნავს ზაზა ფირალიშვილი.

მისივე აზრით, 2010 წელი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ „ოპოზიციური აზრი ფარულად თუ აშკარად იძულებულია, ალიაროს, ქცევის ძველი წესის უსაზრისობა და ახალი გზები ეძიოს. ცხადია, ამას ბევრი ძველი ოპოზიციური აქტორი შეეწირება“.

ფირალიშვილის განმარტებით, 2010 წელს ჩვენმა საზოგადოებამ საგრძნობი დისტანცირება მოახდინა პოლიტიკური სპექტრისგან და ამით, გარკვეულწილად, ახალი პოლიტიკური გარემოს ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. მისივე აზრით, ამაოა მავანთა ჩივილი საზოგადოებრივი პასიურობის გამო, ვინაიდან საზოგადოება პოლიტიკოსებისაგან განსხვავებულ პოლიტიკურ ენას, ქცევას მოითხოვს და „მჯერა-არ მჯერასა“ და „მიყვარს-არ მიყვარს“ კატეგორიებით აღარ აფასებს პოლიტიკოსებსა და პოლიტიკურ პროცესებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სიფრთხილე და რაციონალიზმი რომ პასიურობას არ ნიშნავს.

ფილოსოფოსის შეფასებით, **2010 წელს მკვეთრად გაიზარდა ეკლესიის პოლიტიკური როლი, თუმცა ეს თავად ეკლესიისათვის შეიძლება აღმოჩნდეს საშიში.**

„სწორედ აქ იმალება საფრთხე, რომ „ხალხის ოპიუმი“ „ხალხისათვის ოპიუმად“ იქცეს. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ რუსული პროექტი საქართველოში დღეს სწორედ ამ მეტამორფოზას გულისხმობს“, — დასძენს ზაზა ფირალიშვილი, რომელიც საფრთხედ მიიჩნევს ირაციონალურ, ქრისტიანობად წოდებულ კერპთაყვანისმცემლობას, რასაც სენტიმენტალური და მითო-პოეტური ნაციონალიზმის სარკმაზი ემატება და რომ არა ეს ფაქტორი, რუსულ პოლიტიკას საქართველოში ძნელად თუ ექნებოდა რაიმე სიმპატიების მოპოვების შანსი.

ზაზა ფირალიშვილი არასერიოზულად აფასებს ამგვარი რამის წინააღმდეგ „ლიბერალური შტურმის“ პრინციპებით ბრძოლას, ვინაიდან „სწორედ ასეთი შტურმი შობს პასუხად მავან ფუნდამენტალისტებს, ხელს უწყობს, რომ ქრისტიანობა ჩაანაცვლოს უცნაურმა კერპთაყვანისმცემლობამ ქრისტეს სახელით“, ეს კი **„ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგ წამოწყებული დაუფიქრებელი ბრძოლა იმავე ფუნდამენტალიზმის კონსოლიდაციითა და რეალურ პოლიტიკურ ძალად გადაქცევით შეიძლება დამთავრდეს — ანუ, რუსული პროექტის განხორციელებით“,** — დასძენს ექსპერტი ფირალიშვილი, რომლის აზრითაც, გარკვეულმა წრეებმა, როგორც ეკლესიის შიგნით, ისე — მის გარეთ მიაღწიეს იმას, რომ ეკლესია დისკუსიაში ჩართულიყო.

„ეს ძალზე ცუდია თავად ეკლესიისათვის, ვინაიდან ამას შეუძლია, აგრესიული ფსევდორელიგიური დაჯგუფებების გაჩენასა და გამრავლებასაც შეუწყოს ხელი“, — დასძენს ზაზა ფირალიშვილი.

იხ. 4 გვ.

„ქართული აკადემია“

## განცხადება

თანადგომას ვუცხადებთ ომის ვეტერანებს, რომლებიც მათი პრობლემების მიმართ ხელისუფლების დანაშაულებრივი დამოკიდებულების გამო, შიმშილობის აქციით შეხვდნენ ახალ წელს.

„ქართული აკადემიის“ წევრები სოლიდარობის ნიშნად მოშიმშილეებთან ერთად შევხვდით ახალი წლის დადგომას. ამასთანავე, მივესალმეთ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების განზრახვას, რომლებმაც ანალოგიური სურვილი გამოაცხადეს.

საქართველოს მოსახლეობას ვუსურვებთ გონიერებას, პრინციპულობას, სოლიდარობას, რათა 2011 წელი იქცეს ქვეყანაში ძირეული პოლიტიკური ცვლილებების გადამწყვეტ ეტაპად.

ინფორმაცია

## ეროსი კიწმარიშვილი დავალიანებას არ აღიარებს

**„ქართული პარტიის“ ლიდერი და „რუსთავის მედიის მართვის„ კომპანიის დამფუძნებელი ეროსი კიწმარიშვილი „მაესტროს“ ხელმძღვანელების მოთხოვნის დაკმაყოფილებას და ტელეკომპანიის წინაშე არსებული დავალიანების დაფარვას არ აპირებს.**

მიზეზი მარტივია — კიწმარიშვილი „მაესტროს“ წინაშე არსებულ დავალიანებას არ აღიარებს. როგორც „ქართულ პარტიაში“ განაცხადეს, „მაესტროსა“ და მისი ხელმძღვანელების ბრალდებებთან დაკავშირებით ეროსი კიწმარიშვილმა განცხადება უკვე გააკეთა და ამით თემა ამოწურა.

## სურსათის ეროვნული სააგენტო

**დღეიდან სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს სურსათის ეროვნული სააგენტო ეწოდება.**

აღნიშნული პარლამენტის მიერ დამტკიცებული შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების თანახმად გადაწყდა.

სააგენტო ახალ ფუნქციებს იძენს და რიგი სერვისებით მომსახურება ფასიანი ხდება. კერძოდ, თუკი ადრე იმპორტიორს ნებართვის მისაღებად რამდენიმე დღე სჭირდებოდა, ამიერიდან ნებართვის მიღება 1 დღეში მოხერხდება და ის ფასიანი იქნება.

თუ იმპორტიორი არ მოისურვებს თანხის გადახდას, ნებართვის მისაღებად რამდენიმე დღე დასჭირდება.

დღეიდან სურსათის ეროვნული სააგენტო საწარმოებში, სარეალიზაციო ობიექტებში პროდუქციისა და ნედლეულის ყველანაირი კონტროლის განხორციელებას შეძლებს.

ჯი-ეიჩ-ენი

ოპოზიცია

# გრეჩიხა — პრესის ცენზორი

**„ქართული პარტიის“ ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე „უარგუმენტო და მტკიცებულებების გარეშე წაყენებული ბრალდებების შემთხვევაში მედიისთვის მკაცრი ცენზურის დაწესების“ ინიციატივით გამოდის.**

— ქართულ თავისუფალ მედიაში მკაცრი ცენზურა უნდა დაწესდეს უარგუმენტო და მტკიცებულებების გარეშე წაყენებულ ბრალდებებზე. ეთიკური ჩარჩოები უნდა დაწესდეს პოლიტიკაშიც. მაყურებელმა, მკითხველმა, მსმენელმა, ამომრჩეველმა, მომიტინგემ, მოკლედ, მთელმა საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს ჩვენს ყოფასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ზნეობრივი ნორმების დამკვიდრება. დაუშვებელია, ყველამ ყველაფერი ილაპარაკოს. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი ქვეყნისაგან ერთ დიდ საგიჟეთს მივიღებთ, — აცხადებს გაჩეჩილაძე.

ამასთან, მისივე განმარტებით, **„როდესაც მტკიცებულების გარეშე, უარგუმენტოდ ლაფს გასხამენ, ეს აღარც პოლიტიკაა და არც პოლიტიკური თამაში“.**

**საქართველოში იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც სიტყვით ისეთი ემოციური ტალღა გამოუწვევიათ, რომ ძალიან ავნეს კონკრეტულ პიროვნებას. ბოლო სამი წელია ვებრძვი ბოროტებას, რომელიც ქვეყანაშია და არა მაქვს უფლება, მტკიცე და გამძლე არ ვიყო. რეზინის არა ვარ, საკმაოდ ემოციური ადამიანი ვარ, ოჯახის შვილი, მამა და ბაბუა, ამიტომ ეს ყველაფერი მძიმე გადასატანი იყო ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის, მაგრამ მაინც ვერ გამტეხენ,** — განმარტავს გაჩეჩილაძე.

„ქართული პარტიის“ ლიდერის ლევან გაჩეჩილაძის შეფასებით, 2010 წელი ოპოზიციისთვის „ძალიან მძიმე“ იყო.



**— ეს წელი ოპოზიციისთვის იყო ძალიან მძიმე. ადგილობრივ არჩევნებზე კონსოლიდაცია ვერ მოვახერხეთ და თბილისი ისევ ხელისუფლებას ჩავაბარეთ. „სახალხო კრების“ კარგი იდეა ბურჯანაძის შეცდომების გამო მარცხით დამთავრდა. ოპოზიცია დაქსაქსულია, მაგრამ ამ ხელისუფლებას დიდი დღე მაინც არ უწერია,** — აცხადებს გაჩეჩილაძე „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში.

აღნიშნულის მიუხედავად, „ქართული პარტიის“ ლიდერს იმედი აქვს, რომ ოპოზიცია **„ბოლოდროინდელ მოვლენებს გააანალიზებს და უკანასკნელ ბრძოლაში კონსოლიდირებულად ჩაებმება“.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ეს ახალი წელიწადიც დადგა...

# ჩვენ გვიყვარს ყველაფერი ყველაზე გრძელი და ყველაზე დიდი

საქვეყნოდ ცნობილია: ჩვენ გამორჩეული ხალხი ვართ — გვიყვარს ყველაფერი ყველაზე გრძელი და ყველაზე დიდი.

ყველაფერი, ნებისმიერი. იქნება ეს მსოფლიოში ყველაზე გრძელი ბათუმის ბულვარი თუ ყველაზე დიდი თბილისის საახალწლო ნაძვის ხე.

ყველაფერი რომ დავთვალოთ, რითაც გავუსწარით ამ უბადრუკ მსოფლიოს, მარტო ჩვენ კი არა, მეზობლებსაც გაუჩნდებათ კანონიერი სიამაყის გრძნობა, რომ ღვთის წყალობა ერგოთ და ჩვენს მეზობლად მკვიდრობენ.

დავიწყეთ ჩოლოქთან მსოფლიოში ყველაზე საოცარი ბავშვთა ქალაქის აგებით, რომლის მსგავსიც, თვით ჩვენი თავმდაბალი პრეზიდენტის ამაყი განცხადებით, იმ ბედშავ რუსეთში ხომ არ არის და არ არის, არც ევროპაში და მსოფლიოში მოიძებნება სადმე და დავამთავრეთ პლაჩიდო დომინგოს წარმოუდგენლად წარმატებული კონცერტით, რომლის მსგავსიც არ ახსოვს დედამიწას, ხოლო მანამდე მტკვარზე გავდეთ მაქმანიანი ვირის ხიდი (ფეხით მოსიარულეთათვისძ, რომლის სანახავად და მასზე მუხლის გასამართავადაც სპეციალურად ჩამოდის ხალხი სამყაროს ოთხივ კუთხიდან.

მსოფლიოში ლამის პირველები ვართ ბიზნესის სიიოლით, ამიტომ ჩვენგან უცხოელი ინვესტორები კისრისტეხით, უკან მოუხედავად გარბიან.

მტრების მცდელობით, რომლებიც მსოფლიოში ყველაზე მეტი გვყავს („ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“ძ მართალია 104-ე ადგილზე ვართ დემოკრატიის დონით, ოღონდ თავისუფლებით გალაღებულ ხალხს არამც და არამც არ სურს ამის დაჯერება და სწორიც არის, რომ ამ სამარცხვინო ამბავს მოშურნეთა მზაკვრობას აწერს.

საქართველოს ჰყავს მსოფლიოში ყველაზე მსხვილი ბენდუქიძე და ყველაზე მდგრადი ეკონომიკის მინისტრი.

საქართველოს ჰყავს ყველაზე კორუმპირებული გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების უწყება, რომელიც მსოფლიოში პირველია შეჭმული ტყეების და დაპატიმრებული ტყის მცველებით.

საქართველოს ჰყავს მსოფლიოში ყველაზე საძულველი ხელისუფლება და ყველაზე სასაცილო ოპოზიცია, რომელიც მართალია მაღლა ვერ სწვდება სპილოსა, მაგრამ დაბლა კი, დროდადრო, ერთობ მწარედ კბენს რბილოსა.

მაგრამ ამ სასაცილო ოპოზიციის მთავარი დამსახურება ღვთისა და ერის წინაშე მაინც ის არის, რომ გმირული შემართებით უთხრის ერთმანეთს საფლავს და ამით ღრმად გასაიდუმლოებულად, რომელსაც ბრმაც კი ხედავს, უწალდავს გზას ხელისუფლებას.

მსოფლიოში ყველაზე, ყველაზე მშვენიერ ქალაქ ბათუმში, სადაც მიხეილ სააკაშვილის დაკვირვებით, საბანაო სეზონი წელიწადში 12 თვეს გრძელდება და სადაც ახლახან თვით მისმა აღმატებულებამ გახსნა ზამთრის საცურაო სეზონი და მთელი მსოფლიოს „მორჟებს“, ანუ ყინულოვან წყალში ჩაყურყუმალავების მოყვარულთ, გული აუჩქროლა, მალე მსოფლიოში ყველაზე უნიკალური რატუშის საათი დაიწყებს ახალი, რეფორმირებული, კაციობრობისთვის დემოკრატიის შუქურად ქმნილი საქართველოს ბედნიერი დღევანდელობისა და უფრო ბედნიერი მომავლის დროის ათვლას და თავისი წიკწიკით ტურისტთა უშქარ მასებს გააორმაგებს.



მსოფლიოში ყველაზე სასწაულებრივი საზამთრო-საზაფხულო სათხილამურო ტრასები კეთდება მესტიაში, რითაც ზემო სვანეთი გადაუჯოკრავს ამ ქვეყნად დღეისთვის არსებულ ნებისმიერ შვეიცარიულ კურორტს, სადაც კაპიტალიზმის ზვიგენები ჩეჩქივით ფანტავენ დოლარებს და ევროებს. ფულის ამ ნაკადს მესტია დანარჩენი საქართველოსკენ გადმოაშხრიალებს.

მართალია საბაგირო გზის საყრდენი ბოძები უკულმა დაამონტაჟეს, რამაც მისი საზეიმო (პრეზიდენტის ხელდასხმითძ გახსნა გაურკვეველი დროით გადასწია, სამაგიეროდ, გამოვიდა ხმა, რომ პრეზიდენტს გადაწყვეტილი აქვს ეს საბაგირო გზა ანაკლიამდე დააგრძელოს, სადაც ასევე მსოფლიოში ჯერ არნახული საზღვაო კურორტი შენდება, რომელიც მალე ტურისტთა მექად იქცევა. ამრიგად, მესტიაში მისტერ და მისის სმიტები, ჩამოსრიალების უმალ, თხილამურებიანად დასხდებიან ბაგირზე ჩამოკონწიალებულ სკამზე, და პირდაპირ ანაკლიაში ჩამობრძანდებიან, ძირს ჩამოუსველელად ჩაყურყუმალავდებიან ზღვაში და ისევ მესტიისკენ აუყვებიან აღმართს. თანაც თუ ტურისტს, ღმერთმა არ ქნას და თეთნულდიდან დაშვებისას დაღუპვა უწერია, გარანტირებული აქვს, რომ მესტიის რომელიმე ქუჩას მისი სახელი დაერქმევა; თუ მესტიაში არ აღმოჩნდა თავისუფალი ქუჩა, თბილისი ხომ ნაღდი და უტყუარია, კაცმა რომ თქვას, მარტო ამ პატივისთვის ღირს სვანეთის ჯერ გაუკვალავ ტრასებზე კისრის მოტეხვა.

გესმით ამ ჩანაფიქრის მთელი სიდიადე?!

ჰო, ჩვენ ნამდვილად გამორჩეული ხალხი ვართ!

ჩვენ მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა და ტვინნაღრძობი ხელისუფლება გვყავს, რომელიც ისე გმირულად ნიღბავს თავის ჩიტირეკიობას, რომ მსოფლიომ დღემდე ვერა და ვერ გაიგო ვინ ვინ არის ამ საქართველოში.

„— შვილო ზურაბ, სადამდე?

— ვაიმე დედა, ყელამდე!“

და მაინც ზურაბი გმირულად უძლებს, კედელი მალე მთლიანად ჩაყლაპავს, მაგრამ ცრემლების ღვრას ისევ ის ურჩევნია, კირით ამოუვლესონ ცხვირ-პირი, მარტოხელა მგლად მოკვდეს.

კედელში ჩაშენებული ზურაბი ქართველი ოპოზიციონერის კლასიკური, განზოგადებული ნიმუშია. მაგრამ არის ოპოზიციონერის სხვა, არანაკლებ გავრცელებული ტიპი. მან შეიძლება თვეების მანძილზე თავი გამოიკეტოს №5 „საკანში“, მაგრამ თანამოსაგრეებთან ფიცვერცხლის ჭამას მაინც ხელისუფლებასთან აჯა ურჩევნია, ვაზირთუფროსის სახელო მიბოძე რამდენიმე თვით და 10-12 მილიონად თავფეხიანად მოგეყიდები საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდო.

ეს ხომ ასეა, მაგრამ ბოლომდე გაურკვეველი დარჩა: პრეზიდენტს „წიწიბურას“ ფასი ემწუთხა და უარი თქვა შეთავაზებაზე თუ უბრალოდ „გადააგდო“ საკუთარი თავფეხის უიღბლო გამყიდველი.

და არის ახლა დიდი მითქმა-მოთქმა — როგორ თუო, ოღონდ აშკარად ჩანს ამ მიმთქმელ-მომთქმელებში ბარე ორი არ იტყოდა უარს ხელისუფლებისთვის თავისი იმ სასიცოცხლო ორგანოების მიყიდვა-ჩუქებაზე.

ახალი წლის რესპუბლიკურ-საერთაშორისო მასშტაბის (თბილისი — ოო! ბათუმი — ოოოო!ძ ზეიმებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველო უნიკალური ქვეყანაა. ჩვენი პრეზიდენტი თვითმფრინავის შტურვალს მიუჯდა (თუმცა მანამდე დაგვპირდა, ვერტმფრენით შემოგირბენთოძ და ბათუმს რამდენიმე წრე დაარტყა — მიზვერ-მოზვერა, მტერი ხომ არაფერს გვიპირებსო და თავისი ხალხიც გაახარა სიჩაუქის ახალი გამოვლინებით. მერე ციგურებზე შედგა და ყინულზე მოსრიალე ბავშვებში გაერია.

„ანა-ბანა, ანა-ბანა,
ვის ჰყავს პრეზიდენტი ჩვენისთანა“...

2010 წლის ყველაზე რეიტინგულმა ტელეარხმა „იმედმა“, რომელსაც ეს წარმატება ყოვლად ყელში ამოსული ნანუკა ჟორჟოლიანის შოუს, ამ შოუს დაუსრულებელი რეკლამებისა და ზღარბებივით ერთმანეთის მსგავსი ლათინოამერიკული სერიალების წყალობით ერგო, სულ გაიგიჟა თავი და ბატონი პრეზიდენტი იმდენი ატრიალა ეკრანზე, პირდაპირ თავბრუ დაახვია მასაც და ჩვენ.

და მაინც გილოცავთ 2011 წელს! გაიხარეთ!

**სანდრო ალექსიძე**




## ინფორმაცია



### საახალწლო საჩუქარი განათლების სამინისტროსგან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა 13 წლის გიორგი მალაზონიას ახალი წელი პირადად მიულოცა და საჩუქრად პერსონალური კომპიუტერი გადასცა.

მოზარდი დედობილთან — მარიამ ზაალიშვილთან ერთად, უკიდურესად მძიმე პირობებში ცხოვრობს.

ცერებრალური დამბლით დაავადებული გიორგი, რომელსაც გადაადგილება უჭირს, თბილისის 30-ე საჯარო სკოლის მერვე კლასში სწავლობს. მიუხედავად მძიმე ფიზიკური და სოციალური მდგომარეობისა გიორგი მალაზონია გამორჩეულად წარმატებული მოსწავლეა, გატაცებულია ჭადრაკით და არის მრავალი პრიზის მფლობელი.

ჯი-ეიჩ-ენი

## მსჯელობენ ექსპერტები

(მეორე გვერდიდან)

# არასტაბილური სტაბილურობის წელი...

## 2010 წლის პოლიტიკური შედეგები და 2011 წლის პერსპექტივები

### 2011 წელს საშინაო პოლიტიკის პერსპექტივა

კახა კაციტაძის აზრით, 2011 წელს ალბათ უფრო ძალუმად იჩენს თავს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და სწორედ იგი იქნება საშინაო პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორი. მეორე მხრივ, საგარეო ვითარება საშინაოზე გარკვეულ ასახვას ჰპოვებს.

**„ჩვენთან ძალიან სერიოზულად არის შეუსწავლელი, თუ რა მდგომარეობაა ეკონომიკაში. ჩვენ არ ვიცით, რამდენად შეუძლია სახელმწიფოს, იფუნქციონიროს წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით. ეკონომიკური პრობლემები, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში გროვდებოდა, 2011 წელს უფრო ძალუმად იჩენს თავს“,** – აღნიშნავს კახა კაციტაძე.

რამაზ საყვარელიძის აზრით კი, იმის გამო, რომ „ხელისუფლებამ 2010 წელს შიდაპოლიტიკურ ასპარეზზე ყველა თავისი ამოცანა იუველირული სიზუსტით გადაწყვიტა“, ხელისუფლება 2011 წელს მეტი სითამამით იმოქმედებს.

**„ეკონომისტებს საკმაოდ მძიმე პროგნოზი აქვთ და ალბათ ხელისუფლებას ამ სირთულეების დაძლევა მოუწევს. ეკონომიკური სირთულეების დასაძლევად ხელისუფლება შიდა პოლიტიკაში სიახლეებს დაუშვებს“,** – აღნიშნავს რამაზ საყვარელიძე. იგი 2011 წელს, იმ საკითხებზე, რომლის მიმართაც ყველაზე ხშირად კრიტიკა და უკმაყოფილება ისმოდა, ხელისუფლების მხრიდან და ხელისუფლების ინიციატივით გაუმჯობესებას ელოდება.

ზურაბ აბაშიძის თქმით, იგი პოლიტიკური პროცესების განვითარების ერთადერთ გზად მხოლოდ ევოლუციურ განვითარებას იმის გამო აღიარებს, რომ საქართველოსათვის სხვა გზა კატასტროფის ტოლფასია.

**„ჩვენ რამდენჯერაც გავიარეთ მოვლენათა განვითარების არაევოლუციური გზა, იმდენჯერაც კატასტროფით დავამთავრეთ. ვინც პროცესების არაევოლუციური განვითარების გზას გვთავაზობს, მოკლე მეხსიერება აქვს ან არ ესმის, რასა იქმს“,** – აღნიშნავს ზურაბ აბაშიძე, რომლის აზრითაც, იმის გამო, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის პროცესების არაევოლუციური გზა მიუღებელია, ამ გზაზე მდგომი ოპოზიციური პარტიები სერიოზულ შეცდომას უშვებენ და იმ „პროდუქტის“ „ყიდვას“ გვთავაზობენ, რომლის შეძენა საზოგადოების უდიდეს ნაწილს არ სურს.

„საერთო ჯამში, ჩვენი პოლიტიკური სპექტრი მომწიფდა და პასუხისმგებლობის დონე გაიზარდა. ამიტომ, უდავოა, რომ მომავალი წელი არჩევნებისთვის მზადების პერიოდი იქნება. მომავალ წელს პროცესები სწორედ არჩევნებისათვის მზადების ნიშნით წარიმართება“, – დასძენს ზურაბ აბაშიძე, რომელიც ქვეყნისათვის უდიდეს ამოცანად მიიჩნევს სერიოზული ოპოზიციის ჩამოყალიბებას, რომელიც არა დესტაბილიზაციის, არამედ სტაბილურობისა და დემოკრატიული განვითარების გარანტი იქნება.

„ეპოქა, როდესაც ხელისუფლება მონოპოლისტურ და, ფაქტობრივად, უკონტროლო პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს, უნდა დასრულდეს. ეს, საერთო ჯამში, ყველას ინტერესებში უნდა იყოს“, – აცხადებს ზურაბ აბაშიძე.

ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილის შეფასებით, „ხელისუფლება 2011 წელს საშინაო პოლიტიკაში ფარული ავტორიტარიზმის სისტემის დახვეწას გააგრძელებს“.

მისივე აზრით, სააკაშვილი დღეს ის აღარ არის, რაც 2007 წელს იყო. ამ სამი წლის განმავლობაში მან საკმაოდ მძიმე ბრძოლა გადაიტანა და ყველა გარემოების თავისთვის სასარგებლოდ გამოყენებაში გაიწაფა. გარდა ამისა, მან ძალზე კარგად იცის პოლიტიკური ენა, რომელზეც დასავლეთი მეტყველებს, იცის, რომ დასავლეთი ბოლომდე არასოდეს შეიწუხებს თავს, ღრმად გაერკვეს ჩვენში მიმდინარე პროცესებში. ამ ეტაპზე მისთვის მთავარია დემოკრატიული ფასადის არსებობა და სააკაშვილიც სთავაზობს ამ ფასადს.

**„მნიშვნელოვანია ისიც, რომ ვერც დასავლეთმა და ვერც ქართულმა საზოგადოებამ ამ სამი წლის განმავლობაში ვერ დაინახა სააკაშვილისა და მისი გუნდის რეალური ალტერნატივა. ეს მაშინ, როცა ოპოზიციის ნაწილი კვლავ რევოლუციური მეთოდოლოგიის ერთგული დარჩა და სამიტინგო პოლიტიკაზე აგებდა იმედებს, მეორე ნაწილი კი კაბინეტური და კლუბური პოლიტიკის ფარგლებში დარჩა“.** – აცხადებს ზურაბ აბაშიძე

ფირალიშვილის განმარტებით, ასეთ ვითარებაში, გვსურს თუ არა, იზრდება შიდასამთავრობო პროცესების როლი. ქართულ მასმედიაში უკვე რამდენჯერმე გამოითქვა ვარაუდი, რომ ახალი ქართული ხელისუფლება, ალბათ, დღევანდელის ფარგლებში იშვება. დაბეჯითებით თქმა ძნელია, მაგრამ აშკარაა, რომ ბევრი რამ ამგვარი სცენარის განვითარებას უწყობს ხელს. არ არის გამორიცხული, რომ დასავლეთის ყურადღებაც თავად ხელისუფლების ფარგლებში გაჩენილი რომელიმე ჯგუფისაკენ მიიმართოს, რადგან ნებისმიერი სხვა სცენარი შეიძლება საფრთხე აღმოჩნდეს სტაბილურობისთვის.

**„დასავლეთის ამგვარი პოზიციის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი ჩვენი ოპოზიციის ირაციონალურ რადიკალიზმსა და მოსკოვურ თამაშებს მიუძღვის“,** – დასძენს ზაზა ფირალიშვილი.

### 2011 წელს საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს პერსპექტივა

კახა კაციტაძის შეფასებით, „დასავლეთი რუსეთთან მიმართებაში არა რუსეთის განცხადებებით, არამედ რეალური ქმედებებით იმსჯელებს“. რუსეთი დასავლეთის ლიდერობას ნელ-ნელა აღიარებს. ამის საფასურად კი რუსეთის ელიტა მსოფლიო პოლიტიკურ ელიტაში ინტეგრირებას მოითხოვს. **მსოფლიო პოლიტიკური ელიტა რუსეთის ელიტას სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილივით უყურებს, ანუ იმ „გაუთლელ ტიპებად“ მიიჩნევს, რომლებსაც მათი რესურსებიდან გამომდინარე, ასეთი ამბიციები არ უნდა ჰქონდეთ. არსებული ვითარება ჩვენზე იმით აისახება, რომ 2010 წლის ვითარება შენარჩუნდება და 2011 წელსაც გაყინული იქნება.**

რამაზ საყვარელიძე 2011 წელს საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე ურთიერთობების პერსპექტივას რუსეთთან გართულებულ მდგომარეობას უკავშირებს.

**„რუსეთთან ურთიერთობა ისევ მძიმე იქნება. ალბათ საქართველო-რუსეთის ურთიერთობა იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა სახეს მიიღებს ამერიკა-რუსეთის ურთიერთობა“,** – აღნიშნავს რამაზ საყვარელიძე, რომლის აზრითაც, თუკი აშშ-ში „რესპუბლიკელები“ კიდევ უფრო გაძლიერდნენ, ობამას ადმინისტრაციის სირთულეები ამერიკელ ხალხს აიძულებს აქცენტი „რესპუბლიკელებზე“ გადაიტანონ. საგარეო ასპარეზზე შემოსული „რესპუბლიკელები“ ალბათ გადატვირთვის პოლიტიკას შეამცირებენ, რუსეთთან კონფრონტაციის პოლიტიკას გააძლიერებენ. ამერიკულ პოლიტიკაში რუსეთის მიმართებაში კონფრონტაცია გამოიკვეთება, რაც, თავის მხრივ, ვაშინგტონის მიმართ რუსეთის კონფრონტაციასაც გულისხმობს.

**„მოსკოვ-ვაშინგტონის კონფრონტაცია საქართველოზე აისახება. ამერიკა-რუსეთს შორის მორიგი დაპირისპირება, შესაძლოა, საქართველოსთვის მძიმე გადასატანი აღმოჩნდეს“,** – ასკვნის რამაზ საყვარელიძე.

ზურაბ აბაშიძე მომავალ 2011 წელს თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობებში რაიმე გარღვევას არ ელის და მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებით რაიმე მოძრაობა შესაძლოა იქნეს, მაგრამ იგი ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების აღდგენას შეეხება.

**„რუსეთისთვისაც მომავალი წელი წინასაარჩევნო პერიოდია და დიდი ყურადღება გვმართებს“.** – აღნიშნავს ზურაბ აბაშიძე

**იგი ეთანხმება მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ 2011 წელსაც მსოფლიოში გაგრძელდება მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო მსოფლიოს ნაწილია, ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველოსაც გაუჭირდება ამ გლობალური მოვლენისათვის თავის არიდება. ამისათვის კი საჭიროა ეკონომიკურ ცხოვრებაში საღი, რეალურად დაცული კონკურენტული გარემოს შექმნა.**

„თუ საქმეს გონივრულად წავიყვანთ, დრო ჩვენ სასარგებლოდ იმუშავებს. ბუნებრივია, მხედველობაში მაქვს პერსპექტივაში კონფლიქტების მოგვარების დილემაც“, – დასძენს პოლიტოლოგი ზურაბ აბაშიძე

ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილის შეფასები კი, **„საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს მდგომარეობა მთლიანად იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად რეალისტურად გაიაზრებს დასავლეთი რუსეთში მიმდინარე პროცესებს“.**

**კობა ბენდელიანი**

## წლის თემა

### შესავლისმაგვარი

**საუკუნის პირველი ათეული საქართველოს შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში დავიდარაბებით დასრულდა. თითქმის ყველაფერს აეხადა ფარდა, ყველამ ყველას ანგარიში გაუსწორა, ჩასაფრებულები გამოჩნდნენ და გამკეთებლებმაც იწვნიეს. მხოლოდ ერთ რამეზე „მწყდება გული“ – ვერაფრით გავარკვიე, ირაკლი ოქრუაშვილმა სცემა დათა ახალია თუ დათა ახალაიამ – ირაკლი ოქრუაშვილი. ამ ინციდენტზე ჩემთვის (და ალბათ ბევრისთვის) გურამ დოჩანაშვილის ერთი გმირი, ალექსანდრო მახსენდება, ხალხს რომ ეკითხება „ორი ადამიანი ჩხუბობს; ერთი შავი და ერთი ქერა, რომელია დამნაშავეო?“ ყველამ შავს დაადო ხელი – შავია და ეგ იქნებაო. როცა ორი ჩხუბობს, ორივე დამნაშავეაო, – უთხრა მათ ალექსანდრომ.**

# პარტიების მისტერიები

### ბრძოლა პირველობისთვის

**2010 წელი უჩვეულოდ მშვიდად დაიწყო... 15 იანვარს პარლამენტმა ცესკოს თავმჯდომარის პოსტზე პრეზიდენტის მიერ შერჩეული სამი კანდიდატიდან, ხმათა უმრავლესობით ზურაბ ხარატიშვილი დაამტკიცა, რომელიც სულ რაღაც ხუთ დღეში, ჯერ არდანიშნული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის აქტიურ მზადებას შეუდგა.** პირველი წარმატებული ნაბიჯი, რომელიც ხარატიშვილმა გადადგა, საარჩევნო სიების მონიტორინგში ოპოზიციის ჩართულობა იყო, რაშიც, „ეროვნული ფორუმისა“ და „ლეიბორისტების“ გარდა, ყველა კვალიფიციურმა პარტიამ მიიღო მონაწილეობა.

სიების მონიტორინგის პარალელურად, პარტიებმა უკვე გაზაფხულიდან აქტიური საარჩევნო კამპანია დაიწყეს, თუმცა ამ არჩევნებს რადიკალურად გაერიყა ნინო ბურჯანაძე, თავი შეიკავა ლევან გაჩეჩილაძემ, არ ენდო „ეროვნული ფორუმი“ და პრინციპს არ უღალატეს „ლეიბორისტებმა“.

ოპოზიციურ ფლანგზე ორი საარჩევნო სუბიექტი დაწინაურდა – „ალიანსი საქართველოსთვის“, რომელიც ოთხ პარტიას აერთიანებდა და „ეროვნული საბჭო“. ამ უკანასკნელში „კონსერვატორები“, „ხალხის პარტია“, ექსპრემიერ ზურაბ ნოღაიდელის მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ და კიდევ რამდენიმე „ზრდილობის გულისთვის შექმნილი“ ორგანიზაცია შედიოდა.

თავდაპირველად, ოპოზიციაში ყველანი შეთანხმდნენ ერთ მთავარ ჭეშმარიტებაზე – დაესახელებინათ თბილისის მერობის ერთი საერთო კანდიდატი, რომელიც მმართველი პარტიის კანდიდატს დაუპირისპირდებოდა. ამ იდეას იზიარებდა არჩევნებში მონაწილე თითქმის ყველა პარტია, მოლაპარაკებებში აქტიურად ერთვებოდა ლევან გაჩეჩილაძეც. „ეროვნული საბჭო“ ოპოზიციას საერთო კანდიდატის გამოვლენას „პრაიმერის“ მეშვეობით სთავაზობდა, თუმცა, როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, ყველამ კარგად იცოდა, რომ ერთობა არ შედგებოდა.

ერთობის იდეით თავიდან ყველაზე მეტად „ალიანსის“ მერობის კანდიდატი ირაკლი ალასანია მოიხიბლა, რომელიც პარტნიორებთან შეუთანხმებლად გამოცხადდა „ეროვნული საბჭოს“ თავყრილობაზე ჭადრაკის სასახლეში და იქ შეკრებილთათვის იმედისმიცემი განცხადებებიც გააკეთა. ალასანია რომ ნოღაიდელის გვერდით დაინახეს, „ალიანსში“ შემავალმა „რესპუბლიკელებმა“ და „მემარჯვენეებმა“ ქვა ააგდეს, რომლისთვისაც თავი არ შეუშვერიათ და გადაწყვიტეს, ყველაფერი გაეკეთებინათ, რათა „ბიჭი უწესო ხალხისთვის“ ჩამოეშორებინათ და მათი ბანაკისთვის შეენარჩუნებინათ. მოახერხეს კიდეც. მარტივად რომ ვთქვა, ირაკლი ალასანიამ „ეროვნული საბჭო“ და მათი მხარდამჭერები „გალიმებული დატოვა“. ასე დაიწყო „უკადრისი ალიანსისა“ და „ღიმილშემხმარი ეროვნული საბჭოს“ დაპირისპირება, რასთან ერთადაც, ერთობის იდეაც მოკვდა.

„ეროვნულმა საბჭომ“ იხტიბარი არ გაიტეხა და „პრაიმერი“ მაინც ჩაატარა. საბჭოს წარმომადგენლები, განსაკუთრებით ნოღაიდელი, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში „ათასი უბედურებით“ იმუქრებოდნენ.

იხ. 6 გვ.









თბილისში, მახათას მთაზე, შენდება ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძარი და სავანე. ეს არის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს ისტორიაში; ყოველი ქართველი, როცა შევა ამ ტაძარში, შევა თავის აშენებულ ღვთის სახლში...

ილია II

# ამ ტაძარს მე და შენ ავაშენებთ მთელ საქართველოსთან ერთად!

*საეკლესიო გადმოცემით, ქრისტეს მოწაფეებმა წილი ჰყარეს, თუ ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა სახარება. კენჭისყრაში წმიდა მოციქულებთან ერთად მონაწილეობდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და მას წილად ხვდა ივერია, ანუ საქართველო. ეს ხვედრი ქართველ ერს უპირველესად ავალებს, ერთგულად იცავდეს ღვთის მიერ ადამიანისთვის დაწესებულ ზნეობრივ კანონებს და ქვეყანაც მაშინ აყვავდება.*

*ივერიის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ათონის ივერთა მონასტერშია დაბრძანებული, განსაკუთრებულად გამოხატავს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მადლის არსებობას დედამიწაზე. საგანგებოდ შესრულებული მისი ასლი თბილისში 1989 წლის 9 ოქტომბერს ჩამობრძანდა, რასაც ორ წელიწადში დამოუკიდებლობის გამოცხადება და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა მოჰყვა. ამ ხატის პირველი სასწაული ერთ წელიწადში გამოვლინდა, როდესაც სიონის საკათედრო ტაძარში იგი პერანგით უნდა შეემკოთ, დამცავ მინაზე სასწაულებრივად აღბეჭდილი წმიდა გამოსახულება შეამჩნიეს. მოგვიანებით ეს გამოსახულება დამოუკიდებელ ხატად იქცა და სიონის ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკვდერში დაიდო ბინა.*

*საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა- კურთხევით, თბილისში, მახათას მთაზე შენდება ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის მთავარი ტაძარი და სამონასტრო კომპლექსი. კომპლექსში გათვალისწინებულია საგანმანათლებლო ცენტრი და თავშესაფარი ობოლი და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის, მონასტერთან ასევე დაფუძნდება ნარკოლოგიის სარეაბილიტაციო ცენტრი.*



**ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი სწორედ ჩვენი ერთიანობითა და თანასწორობით იქნება განსაკუთრებული. მსოფლიოში არ არსებობს სხვა ანალოგი, როცა არა რომელიმე ბიზნესმენი ან ორგანიზაცია, არამედ ხალხი, თავისი კეთილი ნებითა და თანაბარი მონაწილეობით ააშენებს უდიდესი მნიშვნელობის ტაძარს. ღვთისმშობლის საკვირველთმოქმედი ხატის სადიდებლად აგებულ სულიერ სავანეში შესულ ყველა დედას შეეძლება თავისი შვილისათვის სიამაყით თქმა: ეს ტაძარი მე და შენ ავაშენეთ მთელ საქართველოსთან ერთად!**

**პაატა გურჯულაძე**

**საქართველოს კათოლოკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით პაატა გურჯულაძემ დააარსა ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობის ფონდი „ივერიისა“, რომელიც სათავეში ჩაუდგება აღნიშნულ პროექტს.**

**ფონდი „ივერიისას“ მიერ შემოთავაზებული უნიკალური სქემა ყველა ადამიანს მისცემს აქციაში თანაბარი მონაწილეობის საშუალებას და ეს მონაწილეობა გამოიხატება შემომწირველის, მისი ახლობლების, ოჯახის წევრებისა და გარდაცვლილი წინაპრების სახელზე ტაძრის მშენებლობის დასრულებამდე ხელფასიდან ყოველთვიურად გაღებული თითო ლარით.**

**ფონდ „ივერიისას“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდება იმ ადამიანთა სახელები, ვინც გაერთიანდება ჩვენს აქციაში და ვის სახელზეც გააკეთებენ შემოწირულობას მათი ახლობლები. შემომწირველთა სახელები ასევე ჩაიწერება წიგნში, რომელიც დაცული იქნება ტაძრის არქივში. შეიქმნება ორი სახის წიგნი. ერთში ჩაიწერება ცოცხლების სახელები, მეორეში – გარდაცვლილების.**

### როგორ ჩავერთო აქციაში?

ფონდმა „ივერიისამ“ ანგარიში გახსნა საქართველოში მოქმედ ყველა ბანკში. ნებისმიერ მსურველს შეუძლია, მივიდეს მისთვის სასურველ ბანკში მხოლოდ ერთხელ და ავტომატური დავალების მომსახურებით ჩაერთოს აქციაში, რაც ნიშნავს იმას, რომ ავტომატურად, თვეში ერთხელ, ერთი ლარი ჩამოიჭრება მისი ანგარიშიდან და გადავა ტაძრის მშენებლობის ანგარიშზე.

ბანკების ანგარიშების მენეჯერები სრულად ინფორმირებული არიან. ამიტომ თქვენთვის საჭიროა, მხოლოდ ერთხელ მიხვიდეთ თქვენთვის სასურველ ბანკში და გამოთქვათ მზადყოფნა აქციაში მონაწილეობისათვის. ამავდროულად გვინდა გაცნობოთ, რომ თუ თქვენ მუშაობთ საჯარო სამსახურში ან კერძო სექტორში, სადაც დასაქმებულია 50-ზე მეტი ადამიანი, ფონდ „ივერიისას“ საორგანიზაციო ჯგუფი თვითონ მოვა თქვენთან თანხების შემოწირვის ორგანიზებულად მოგვარებისთვის.

### მსურს არა მარტო ჩემი, არამედ ოჯახის წევრებზეც შემოწირულობის გაღება:

ბანკში მისვლისას ან თქვენ სამსახურში თქვენ ავსებთ რეგულარული დავალების (ავტომატური დავალების) ფორმას, სადაც მიუთითებთ სახელებს და გვარებს იმ ადამიანებისა, ვის სახელზედაც გსურთ შემოწირულობის გაკეთება. შესაბამისად ავტომატური დავალებით ყოველთვიურად თქვენი ანგარიშიდან ტაძრის მშენებლობაზე გადაირიცხება თქვენს მიერთ მითითებული ადამიანების რაოდენობის შესაბამისი თანხა. მაგ: თუ თქვენ ჩამოთვალეთ 5 სახელი და გვარი, შესაბამისად ყოველთვიურად 5 ლარი გადაირიცხება ტაძრის მშენებლობაზე.

### ჩავრთო თუ არა ოჯახის წევრი აქციაში, თუ ის თვითონ მუშაობს ან აქვს პირადი შემოსავალი?

ტაძრის მშენებლობისათვის სახსრების ორგანიზებულად მოზიდვის მიზნით უმჯობესია, ყველა ადამიანმა შემოწირულობა განახორციელოს სამსახურის მეშვეობით.

### როგორ ჩავერთოთ აქციაში საზღვარგარეთიდან?

როგორც აღვნიშნეთ, ტაძარი ყველა ადამიანის თანაბარი შემოწირულობით უნდა აშენდეს. ამიტომ საზღვარგარეთ მცხოვრები ადამიანებისთვის აქციაში მონაწილეობის სქემის გამარტივების მიზნით მათ შეუძლიათ წელიწადში ერთხელ გადარიცხონ ტაძრის მშენბლობაზე 12 ლარის ექვივალენტი თანხა იმ ქვეყნის ვალუტისა, სადაც იმყოფება ადამიანი. საზღვარგარეთ მცხოვრებთ იგივე სქემით შეუძლიათ ტაძარს შემოწირონ თავის ოჯახის წევრების, ახლობლების და ასევე გარდაცვლილი ადამიანების სახელზე. გადარიცხვის დანიშნულებაში მიუთითეთ თქვენი ახლობლების სახელები და გვარები. შეგახსენებთ, რომ ფონდ „ივერიისას„ ანგარიში გახსნილი აქვს საქართველოში მოქმედ ყველა ბანკში. ამავდროულად გადარიცხვის განხორციელება შესაძლებელი იქნება ფონდ „ივერიისას“ ვებ-გვერდის საშუალებით www.iveriisa.org

### როგორ ჩავერთო აქციაში, თუ ვარ უმუშევარი?

თუ თქვენ არ მუშაობთ, მაგრამ გაქვთ სურვილი და საშუალება ჩაერთოთ აქციაში, მიმართეთ თქვენთვის სასურველ ბანკს, სადაც გაქვთ გახსნილი ანგარიში და ავტომატური დავალების მომსახურების გააქტიურებით შეწირავთ ტაძრის მშენებლობას.

თუ არ გაქვთ რომელიმე ბანკში გახსნილი ანგარიში, შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერ ბანკში და თქვენთვის მისაღები პერიოდულობით გადარიცხოთ თანხა. მაგ: წელიწადში ერთხელ 12 ლარი, რაც ერთი წლის შემოწირულობას შეადგენს ერთ ადამიანზე.

### ვარ თუ არა შეზღუდული შემოწირული თანხის ოდენობაში?

ტაძრის მშენებლობას თქვენ შეგიძლიათ შეწიროთ ნებისმიერი რაოდენობის თანხა. მაგრამ ამ თანხიდან ერთი ლარი თვეში იქნება თქვენს სახელზე, დანარჩენი კი თქვენი ახლობლების და იმ ადამიანების სახელზე, ვისაც არა აქვს შემოწირვის საშუალება, მაგრამ აქვს დიდი სურვილი, მიიღოს მონაწილეობა ამ საქვეყნო აქციაში.

### როგორ შევწირო თანხა, თუ ვარ პენსიონერი?

ნებისმიერ პენსიონერს შეუძლია მივიდეს ბანკში, სადაც პენსიას იღებს და მხოლოდ ერთხელ ავტომატური დავალების მომსახურებით ჩაერთოს აქციაში. რაც ნიშნავს იმას, რომ ავტომატურად თვეში ერთხელ ერთი ლარი გადაირიცხება ტაძრის მშენებლობის ანგარიშზე.

### როგორ ჩავერთო აქციაში, თუ არ მაქვს საშუალება, შევწირო ტაძრის მშენებლობას?

თქვენ უნდა დარეკოთ ფონდის საინფორმაციო ნომერზე 14 04 84 და ჩააწერინოთ თქვენი და თქვენი ახლობლების სახელები და გვარები, – ცოცხლების და გარდაცვლილების. აქციაში თანასწორობის პრინციპი არ იცვლება, რადგან არიან ადამიანები ვინც თქვენი და თქვენი ახლობლების მაგივრად შეწირავენ ტაძრის მშენებლობას.

უამბეთ ამ აქციის შესახებ ყველას. ინფორმაციისთვის დარეკეთ – 14-04-84.

Tel: (+995-32) 14-048-84, Fax: (+995 32) 37 46 83
E-mail:info@iveriisa.ge www.iveriisa.ge



*გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სულითა და გულით ულოცავს ერის სულიერ მოძღვარს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს უწმინდესსა და უნეტარესს ილია II დაბადების დღეს 4 იანვარს, აღსაყდრების 33-ე წლისთავს, 2011 წლის შემობრძანებას, რუსთაველის პრემიის მინიჭებას და საკუთარ მრევლთან ერთად საქართველოს გამთლიანებას და აღორძინებას უსურვებს!*

წლის თემა

(მეოთხე გვერდიდან)

# პარტიების მისტერიები

ექსპრემიერი ყველას, ვინც მიზანმიმართულად წინ გადაეღობებოდა, „ხელების მიტეხვას“ პირდებოდა, სააკაშვილს და მერაბიშვილს კი — „პოლიტიკური ნეკროლოგების“ დაწერას.

ეს პერიოდი ნოღაიდელის ოპოზიციურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველაზე აქტიური გამოდგა. ის გახლდათ პირველი ქართველი პოლიტიკოსი, რომელმაც აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის დახშული კარები შეაღო და ჩვენთვის ავისმომასწავებელ ვლადიმერ პუტინს შეხვდა.

მოგვიანებით, რუსეთის მმართველ პარტიასთან, „ედინაია რასიასთან“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა და პრობლემურ მეზობელთან ვიზიტებსაც მოუხშირა. მისი გზა ოდნავ მოგვიანებით ნინო ბურჯანაძემაც გაიზიარა და ასე მოინათლნენ ყოფილი პრემიერი და პარლამენტის ყოფილი სპიკერი „მოღალატეებად“.

თავდაპირველად, მათი „ღალატის“ ამბავი ფართოდ განიხილებოდა როგორც ხელისუფლებაში, ასევე ოპოზიციაში და საზოგადოებაში, თუმცა დრო და დრო ბევრმა პარტიამ აღიარა რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების აუცილებლობა, სულ ბოლოს კი პრეზიდენტმა სააკაშვილმა ოფიციალურად გამოთქვა მზადყოფნა ამ ურთიერთობების აღდგენისთვის, მაგრამ რამდენიმე დღის წინათ, ბურჯანაძე და ნოღაიდელი ისევ მოსკოვში, ისევ პუტინთან საზეიმო ცერემონიალზე რომ დაინახეს, ძველი ჭრილობები ყველას ერთბაშად გაეხსნა.

ძველ ჭრილობებსა და ძველი ამბების განახლებაზე ოდნავ მოგვიანებით, ახლა ისევ არჩევნებს დავუბრუნდეთ. აპრილის ბოლოს პრეზიდენტმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 30 მაისს დანიშნა. საქართველოს მასშტაბით საკრებულოების არჩევნებში 17 პოლიტიკური სუბიექტი, ხოლო თბილისის მერის არჩევნებში — 9 კანდიდატი მონაწილეობდა.

საარჩევნო სიების ოპოზიციის მიერ მონიტორინგის მიუხედავად, ამ არჩევნების შედეგებშიც ტრადიციულად ხელისუფლება დაწინაურდა. მმართველი პარტიის მეროობის კანდიდატმა გიგი უგულავამ იმდენი პური აცხო, იმდენი ეზო დაგავა და იმდენი ყვავილი დარგო, რომ დედაქალაქის მოსახლეობას სხვა გზა არ დაუტოვა, ეს „მონდომება“ „ფრიადზე“ არ შეეფასებინა. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ „ალიანსის“ მეროობის კანდიდატმა, მეორე პოზიციაზე გასულმა ირაკლი ალასანიამ კონკურენტ უგულავას არჩევნებში გამარჯვება მიულოცა. საერთაშორისო თანამეგობრობამ კი, 30 მაისის არჩევნები შეაფასა, როგორც დემოკრატიისკენ წინ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი. თუმცა რატომაც არა — ამ არჩევნებზე თბილისის მერი პირდაპირი წესით პირველად აირჩიეს.

ხელისუფლება აშკარად იღბლიანია. უშედეგო არჩევნების შემდეგ „ალიანსი საქართველოსთვისაც“ დაიშალა და „ეროვნული საბჭოც“.

დერის ყინულოვანმა მოძრაობამ ინტენსიური ლღობა მაშინ დაიწყო, როცა „ფინანსურ ბლოკადაში“ უფრო მაღალ რანგზე მდგომი პარტიის წარმომადგენლები მოექცნენ და „თოფიც გავარდა“.

შემოდგომისთვის მოულოდნელად შეისხა ხორცი „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ იდეამ, რომელიც აშკარად, ერთმა ოპოზიციონერმა ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ გააააქტიურა. ბურჯანაძის პარტიის გვერდით „ნამეტანი“ დგომის გამო, სხვა პოლიტიკური ძალები, რომლებიც თავიდან კრების მოწვევის იდეას მხარს უჭერდნენ, განზე გადგნენ, მათ შორის, დაქირავება და ერთი ანგარიშგასწევი განცხადების გაკეთება გადაწყვიტა. ამისთვის 12 ოქტომბერი შეარჩიეს. იქ მიწვეულებს ახალ პოლიტიკურ ამპლუაში ფიზიკურად „გამოგვეცხადნენ“ ლევან გაჩეჩილაძე, სოზარ სუბარი, ეროსი კიწმარიშვილი და კოკა გუნცაძე; იქვე „მორალურად“ იმყოფებოდა პარიზს შეხიზნული ირაკლი ოქრუაშვილიც. დარბაზში შემოსვლისთანავე ლიდერები სპეციალურად გაწყობილ ფურშეტს „შემოუდგნენ“ და „ფუჟერებში“ ჩასხმული ღვინით მომავალი საქმიანობა დალოცეს. მერე კი, ჩვენც მოგვხედეს — ახალი პოლიტიკური გუნდის საპოლიტიკურმა სუბიექტებმა განმარტოება ამჯობინეს. ოპოზიციამ ცხელ ზაფხულში გული ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს გადააყოლა, ხოლო ხელისუფლებამ — საკანონმდებლო ცვლილებებს.

## მოსავლის აღება პოლიტიკურად

**მშვიდი ზაფხულის შემდეგ შემოდგომა მართლაც „ჭირნახული“ გამოდგა, თანაც ისეთი ჭირის, თავი რომ მალა და ველარ დამალა.**

ნოღაიდელი, რომელიც წლის დასაწყისში ხელისუფლების მაღალჩინოსნებისთვის „პოლიტიკური ნეკროლოგების“ დაწერით იმუქრებოდა, წლის ბოლოს საკუთარი თანაგუნდელების მიერ დაწერილი „ნეკროლოგის“ მსხვერპლი გახდა. პარტიის რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ მოწვეულმა რიგგარეშე ყრილობამ ზურაბ ნოღაიდელი გამგეობის თავმჯდომარეობიდან გადააყენა. თუმცა, თავად ნოღაიდელი ყრილობას არალეგიტიმურს უწოდებს და ყოფილ თანაპარტიელებს „ვერ ცნობს“. მანამდე, ექსპრემიერმა პარტიაში ხელისუფლების რამდენიმე აგენტი აღმოაჩინა, მათ შორის, პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლადო ბოჟაძე.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ნოღაიდელს, თურმე, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ჩატარებული „კარდაკარის“ დაქირავებული მონაწილენი „გადაუგდია“ და შეპირებული ხელფასები არ მიუცია, მაგრამ ხისტი ლიდერის ყინულოვანმა... — იყვნენ „ეროვნული ფორუმის“ ლიდერები და ლევან გაჩეჩილაძე.

„ეროვნულმა ფორუმმა“ — კრებას საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის ბრძოლა ამჯობინა და ინიციატივის გარშემო, თავის ჩათვლით, 8 პოლიტიკური პარტია გააერთიანა. ოპოზიციურმა „რვიანმა“ საარჩევნო კოდექსში ცვლილებების პროექტი შეიმუშავა, რომელიც ჯერ პარლამენტში შეიტანეს, როგორც საკანონმდებლო ინიციატივა, შემდეგ კი სამოქალაქო სექტორს გააცნეს. ინიციატივას გამოეხმაურა ხელისუფლება და მზადყოფნა გამოთქვა ორმხრივი დიალოგისთვის, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციის ფორმატში ჩატარდებოდა. ხელისუფლებისა და ოპოზიციის კონსულტაციები ცესკოში ყოველ ოთხშაბათს იმართება, რომელიც მომავალი წლის გაზაფხულისთვის უნდა დასრულდეს.

კულტურისა და სპორტის წარმომადგენლები, საზოგადოებისთვის სანდოობით გამორჩეული ადამიანები, რომლებიც „სახალხო კრების“ საინიციატივო ჯგუფს წარმოადგენენ, ოპოზიციური პარტიების გვერდზე გადგომით „კაი გვარიანად განაწყენდნენ“, მიუხედავად ამისა, კრების ჩატარების თარიღიც დანიშნეს 25 ნოემბრისთვის და ხელისუფლების შეცვლისთვის საგულდაგულო მზადება დაიწყეს.

ამ დროს კი, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილმა რამდენიმე პოლიტიკურმა ლიდერმა „სასტუმრო შერატონ მეტეხში“ დარბაზის

ინიციატივო ჯგუფი ვართო, — გვითხრეს და პირობა მოგვცეს, რომ ქვეყნის უსაფრთხოებას, თვითმყოფადობას, პროგრესსა და კეთილდღეობას უზრუნველყოფენ. ყველაზე პირველი პოლიტიკური გუნდის „ქართული ლეგიონის“ დამფუძნებელი გია ყარყარაშვილი მიესალმა, რომელმაც ერთგვარი ნიშნისმოგებითაც კი განაცხადა, ლევან გაჩეჩილაძის გარეშე ქართულ პოლიტიკაში მოწყენილობააო.

დაახლოებით თვენახევარში, ზუსტად თუ გაინტერესებთ — 24 ნოემბერს, „სახალხო კრებამდე“ ერთი დღით ადრე, ამ საინიციატივო ჯგუფმა პარტიის დამფუძნებელი ყრილობა გამართა და პარტიის თავმჯდომარედ სოზარ სუბარი, თანათავმჯდომარეებად — ლევან გაჩეჩილაძე და ირაკლი ოქრუაშვილი, პოლიტიკურ მდივნად — ეროსი კიწმარიშვილი, ხოლო გენერალურ მდივნად — კოკა გუნცაძე აირჩია. ყრილობის დღეს გაკეთებული განცხადებებიდან ყველაზე კარგად ლევან გაჩეჩილაძის განცხადება დამამახსოვრდა, „სახალხო კრებაზე“ მივალო რომ თქვა. ეჰ, ნეტა მართლა მისულიყო, აქვე დავამთავრებდი ამ ყველაფერს.

„სახალხო კრების“ ინიციატორებს ბოლომდე სჯეროდთ, რომ ლევან გაჩეჩილაძე მათთან ერთად იქნებოდა, მიუხედავად მისი თანაგუნდელის ირაკლი ოქრუაშვილის პოზიციისა, რომელსაც ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში ძალიან ხმამაღლა მოუვიდა აზრის გამოთქმა, „სახალხო კრებაზე კიდევ ერთი საპნის ბუშტი გაიბერებაო“. გაჩეჩილაძეც ამას ფიქრობდა ალბათ გულში, ამიტომ ვექებდით ჟურნალისტები მას ამაოდ პარლამენტის წინ მიმდინარე „სახალხო კრებაზე“. სამაგიეროდ, კრებას სრული შემადგენლობით ამშვენებდა „ეროვნული ფორუმი“. დღესაც არ ვიცი, რატომ დაუბრუნდნენ კრებას სასტიკად გამიჯნული „ფორუმელები“ და რატომ არ შეასრულა გაჩეჩილაძემ სიტყვა კრებაში მონაწილეობის შესახებ... გავიდა არც თუ დიდი დრო და, ბურჯანაძე-გაჩეჩილაძის წლის სკანდალიც გაჩაღდა.

კრება მაინც ჩატარდა. ხალხი მივიდა. კრების მონაწილეებმა უნდობლობა გამოუცხადეს პრეზიდენტს, კონსტიტუციას და ქვეყნის მასშტაბით დაუმორჩილებლობის კომიტეტების შექმნის გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ მოლოდინები ვერ გაიმართლეს. როდესაც 3-საათიანი ერთსულოვნების შემდეგ მსახიობმა გოგი ქავთარაძემ ხალხს მიმართა, რომ რადიკალური მოქმედებისთვის საკმარისი რაოდენობა არ ვართ, ახლა დავიშალოთ და სხვა გეგმები განვახორციელოთო, ამას კრების მხარდამჭერთა ნაწილის პროტესტი მოჰყვა. მთელი ღამე ცდილობდნენ კრების ორგანიზატორები მათ დაშოშმინებას. მეორე დღიდან კრება ნელ-ნელა მიყუჩდა, ბოლოს კი, ბურჯანაძე-გაჩეჩილაძის დაპირისპირების გამო, კრების აღმსრულებელ საბჭოში ეკა ბესელიამ და „ეროვნულმა ფორუმმა“ უფლებამოსილება შეიჩერეს.

წლის სკანდალი კი ჟურნალისტ ჯაბა ხუბუას გაზეთ „ასავალ-დასავალის“ 13-19 დეკემბრის №846-ში გამოქვეყნებული სტატიით: „ვაჭრობა ქვეყნით და ხალხით“ დაიწყო. ჟურნალისტმა „სანდო წყაროზე თუ ჭაობზე“ დაყრდნობით, ლევან გაჩეჩილაძე, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, მიხეილ სააკაშვილთან გარიგებაში ამხილა. მომდევნო ნომერში კი, ინფორმატორმა „ნილაბი ჩამოიხსნა“ და გაზეთის ფურცლებზე ბურჯანაძის მეუღლის ბადრი ბიწაძის შავ-თეთრი ფოტოც გამოჩნდა. აი, მაშინ დაიწყო თუ დაიწყო და როდის დამთავრდება, არავინ იცის. „ქალმა რაც იკადრა, კაცს არ ეკადრებაო, ეგ რომ კაცი იყოსო, ეგ ქალი ხომ არ არისო“, — კარგით რა, გეყოთ! ოდესმე გინახავთ ქართველი ხალხი ასე გულგრილი, როგორც დღეს?! პოლიტიკა არ არის ბინძური საქმე, აბინძურებენ.

**ხათუნა კილურაძე,**
**„ინტერპრესნიუსი“**

მეცნიერება

# „ელეფთერ ანდრონიკაშვილი ჩვენი საერთო სიამაყე და ისტორიაა“



მკითხველს ვთავაზობთ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, პეტრე კაპიცას სახელობის ფიზიკის პრობლემების ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს ალექსანდრე ანდრეევის წერილს, რომელიც მოსკოვიდანაა გამოგზავნილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოსი-მდივნის, აკადემიკოს ჯუმბერ ლომინაძისა და ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის, აკადემიკოს გიორგი ხარაძის მისამართით. ვფიქრობთ, ჯეროვნად უნდა შევაფასოთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამჟამინდელ უმძიმეს ფონზე საოცარი გულითადობით დაწერილი ეს ბარათი:

*„ღრმად პატივცემულო კოლეგებო!*

*მიიღეთ ჩემი მილოცვა დიდი ფიზიკოსის ელეფთერ ლუარსაბის ძე ანდრონიკაშვილის დაბადების ასწლეულთან დაკავშირებით.*

*ფიზიკის მეცნიერებაში ფუძემდებლურ წვლილად წარმოჩნდა ზედენადი სითხეების ორადი თხევადობის ბუნების ექსპერიმენტული დამტკიცება. ეს ნაშრომი მსოფლიო მეცნიერულ კლასიკაში შევიდა, როგორც „ანდრონიკაშვილის ექსპერიმენტი“.*

*ე. ანდრონიკაშვილის უმნიშვნელოვანესი შრომები მიეძღვნა მყარი სხეულის რადიაციულ ფიზიკას, კოსმოსური სხივების ფიზიკას, ბირთვულ ტექნიკასა და ბიოფიზიკას.*

*ის გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დამაარსებელი, რომელიც იმისი ხელმძღვანელობით იქცა ერთ-ერთ წამყვან სამეცნიერო ცენტრად.*

*პ. კაპიცას სახელობის ფიზიკის პრობლემების ინსტიტუტისათვის ე. ანდრონიკაშვილი იყო ერთ-ერთი ყველაზე ახლობელი და პატივცემული მეგობარი. იმისმა ორგანიზებულმა, მეოთხედი საუკუნის განმავლობაში რეგულარულად მიმდინარე ფიზიკის კონფერენციებმა დაბა ბაკურიანში, ამ შეკრებათა მეგობრული, არაფორმალური ატმოსფეროს წყალობით, ერთობ შესამჩნევი როლი შეასრულა ფიზიკოსთა მრავალი თაობის აღზრდაში.*

*ელეფთერ ანდრონიკაშვილი ჩვენი საერთო სიამაყე და ისტორიაა“.*

წერილის ავტორი ალექსანდრე ანდრეევი გახლავთ გამოჩენილი რუსი სპეციალისტი დაბალი ტემპერატურებისა და კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკაში და ჩვენი ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, რასაც, როგორც ცნობილია, განსაკუთრებულ პატივად მიიჩნევს...

ინფორმაცია

## გაერთიანდნენ, რათა სასწრაფო-სამედიცინო სამსახური ოპერატიული გახდეს

**საგანგებო სიტუაციებისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურები გაერთიანდა. მათ ერთი ხელმძღვანელი ჰყავთ. აღნიშნულ სამსახურებს თემურ გიორგაძე უხელმძღვანელებს.**

**როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ცვლილება იმითაა განპირობებული, რომ როგორც საგანგებო, ისე სასწრაფო-სამედიცინო სამსახურების მუშაობა ოპერატიული გახდეს.**

**— ამიერიდან ნებისმიერ გამოძახებაზე საგანგებო სიტუაციებისა და სასწრაფო დახმარების ბრიგადები ერთად გავლენ. ამით მოქალაქეებისადმი ჩვენი დახმარება უფრო ოპერატიული და ეფექტური ხდება, — განმარტავს გიორგაძე.**

**აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება მოქალაქეებს კვლავ 033-ზე დარეკვით, საგანგებო სიტუაციების ბრიგადის გამოძახება კი 011-ზე დარეკვით შეუძლიათ, თუმცა გაზაფხულიდან მათ საერთო ნომერი ექნებათ და ის, სავარაუდოდ, 112 იქნება.**

**აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დროისთვის საგანგებო სიტუაციებისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურები ერთ შენობაში განთავსდება.**

ჯი-ეიჩ-ენი

თანამემამულე

*სსრ კავშირის სამხედრო ისტორიაში იყო უიშვიათესი ფენომენი სამი გამოჩენილი ქართველის მონაწილეობით: ყველაზე ძლიერ რაკეტებს ამუშავებდა და აგებდა* ***ალექსანდრე ნადირაძე****, მათ ცდიდა* ***გალაქტიონ ალფაიძე****, შახტის გამშვებ დანადგარებს აგებდა საინჟინრო ჯარების მარშალი* ***არჩილ გელოვანი****. პატარა საქართველოდან გამოსული მეცნიერების ამგვარ ტრიუმვირატს მსოფლიო არ იცნობს. ბუნებრივია, მათი ძირითადი საქმიანობის შესახებ მხოლოდ ერთეულებმა იცოდნენ, ამიტომ დიდი, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში არც ჩვენ ვიცოდით რამე.*

*მსოფლიოში ყველაზე მრისხანე რაკეტების მთავარი კონსტრუქტორის, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის ინჟინერ გენერალ-პოლკოვნიკ ალექსანდრე ნადირაძის შესახებ ჩვენი გაზეთი უკვე წერდა. დღეს ვაგრძელებთ ამ თემას და გთავაზობთ საუბარს* ***გალაქტიონ ალფაიძის*** *შესახებ.*

# ზესაიდუმლო რაკეტოდრომის ბატონ-პატრონი

ზუსტად ნახევარი საუკუნის წინათ ყოფილმა საბჭოთა ხელმძღვანელობამ მიიღო დადგენილება ახალი რაკეტოდრომის მშენებლობის შესახებ. კონტინენტის სიღრმეში განთავსებული კოსმოდრომები „ბაიკონური“ და „კაპუსტინ იარი“ არ იძლეოდნენ თანამგზავრების ყველა საჭირო ორბიტაზე გაშვების შესაძლებლობას. და რაც მთავარია, – ახალი პოლიგონი უნდა გამხდარიყო საკონტინენტთაშორისო [illegible] სარაკეტო კომპლექსების დიდი სიგრძის საცდელ ტრასებზე გამოცდისა და დამუშავების სასტარტო მოედანი. ამ გადაწყვეტილებას პოლიტიკური სარჩული ჰქონდა: იგულისხმებოდა, რომ ახალი კოსმოსური პოლიგონი კოსმოსური სივრცის ათვისებაში ამერიკის შეერთებული შტატების წარმოჩენილი ლიდერობის პასუხი გახდებოდა.

გულდასმითი ანალიზის შემდეგ ყოფილი საბჭოთა იმპერიის სამხედრო ხელმძღვანელობამ თავისი არჩევანი ჩვენს თანამემამულეზე, საბჭოთა კავშირის გმირზე, გენერალ გალაქტიონ ლილის ძე ალფაიძეზე შეაჩერა. ამ დროისთვის ის უკვე ოთხ წელიწადი იყო პოლიგონ „კაპუსტინ იარის“ უფროსის მოადგილე. იგი იქ სერგეი კოროლიოვთან ერთად ცდიდა პირველ ბალისტიკურ რაკეტებს.

ახალი კოსმოდრომის განთავსებისთვის ადგილის შერჩევის მიზნით შეიქმნა სპეციალური საიდუმლო ექსპედიცია, რომლის ხელმძღვანელად სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრომ, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით, გენერალი ალფაიძე დანიშნა. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ საპროექტო ორგანიზაციებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების წარმომადგენლები, მშენებლები, გეოლოგები. ჩრდილოეთის რთული ამინდის პირობებში ფრენებს ასრულებდნენ სამხედრო მფრინავები, რომლებიც, ალფაიძის თხოვნით, პირადად შეარჩია სამგზის საბჭოთა კავშირის გმირმა, ლეგენდარულმა ივან კოჟედუბმა, რომელიც მაშინ ლენინგრადის სამხედრო ოლქის ავიაციას სარდლობდა. შედეგად მიიღეს დადებითი გადაწყვეტილება კოსმოსური პოლიგონის საცდელი ბაზის განთავსების შესაძლებლობის შესახებ საბრძოლო ობიექტზე პლესეცკის რაიონში. 1963 წლის 1 აპრილს ზესაიდუმლო, ყველაზე თანამედროვე რაკეტოდრომის პირველ უფროსად დაინიშნა საფრონტო გენერალი გალაქტიონ ალფაიძე, რომელიც ამ პოსტზე იმყოფებოდა 12 წლისა და 5 თვის განმავლობაში (!ძ. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში არ ყოფილა რაკეტის გაშვების დროს ავარიის, მით უმეტეს საიდუმლო ცნობების გადინების არც ერთი შემთხვევა. მის შემდეგ არავის უმუშავია აქ პოლიგონის უფროსად, არადა 9 უფროსი შეიცვალა, მისი ვადის ნახევარზეც კი.

როდესაც ჩრდილოეთის ახალი კოსმოდრომის შექმნისთვის დაიწყო მუშაობა, გალაქტიონ ალფაიძის და სერგეი კოროლიოვის არც ერთი შეხვედრა არ მომხდარა ისე, რომ ყოველმხრივ არ განეხილათ პლესეცკის სარაკეტო კომპლექსების გამოყენების საკითხები. მთავარი კონსტრუქტორი სერგეი კოროლიოვი გატაცებით საუბრობდა იმის შესახებ, თუ გათვლილ პერიოდში როგორ აიღებენ სტარტს კოსმოსური ხომალდები ჩრდილოეთისა და სამხრეთის კოსმოდრომებიდან, როგორ გაიყვანენ მათ შესაბამის ორბიტებზე ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტისათვის, ხოლო უფრო რთული მიზნების მისაღწევად ეს ხომალდები როგორ შეუპირაპირდებოდნენ კოსმოსში დიდ ორბიტალურ კომპლექსებს.

მაგრამ რაკეტების გაშვების მიღმა გალაქტიონ ალფაიძეს არასოდეს რჩებოდა მხედველობიდან ადამიანის ფაქტორი. და აქ კიდევ ერთხელ გამოვლინდა მისი ჭეშმარიტად ქართული ხასიათი. ურთულეს პირობებში, დაძაბულ გრაფიკში მუშაობის დროსაც კი ის ახერხებდა მოეწესრიგებინა თავისი ხელქვეითების ყოფა და ცხოვრება, ეზრუნა მათ ოჯახებზე, პირადად და სახელებით იცნობდა მათ ბავშვებს, რაც ჯარისკაცებისა და ოფიცრების გულწრფელ გაოცებას იწვევდა. თავის შესახებ ის არასოდეს ლაპარაკობდა, მაგრამ თავისი მაგალითით უნერგავდა ხელქვეითებს სულიერების, აკურატულობისა და დისციპლინის დაუშრეტელ ენერგიას ყველაფერში.

ეს ყოველივე აკავშირებდა და ადუღაბებდა კოლექტივს, რომელიც მუშაობდა როგორც ერთიანი, მთლიანი ორგანიზმი. სხვაგვარად ჩრდილოეთის პირობებში წარმატება შეუძლებელი იყო. როგორც ზემოთაც უკვე ითქვა, მთელ იმ პერიოდში, როდესაც გალაქტიონ ალფაიძე ხელმძღვანელობდა, ზესაიდუმლო რაკეტოდრომის ცხოვრებაში არ მომხდარა არც ერთი საგანგებო შემთხვევა, რაც ამგვარი ობიექტებისთვის უიშვიათესი რამაა.

მხოლოდ 1967 წლის 25 ოქტომბერს, როდესაც გალაქტიონ ალფაიძეს გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება მიანიჭეს, ხელქვეითებმა და თანამშრომლებმა შეძლეს გაეგოთ თავიანთი უფროსის ცხოვრებისა და სამხედრო მოღვაწეობის ძირითადი მომენტები, ვისაც უკვე დიდი ხანია სიყვარულით „ბატონ-პატრონს“ უწოდებდნენ.

... გალაქტიონ ალფაიძე დაიბადა 1916 წლის 7 ნოემბერს ტყიბულის რაიონის პატარა სოფელ კურსებში. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს მან გამოავლინა ზუსტი მეცნიერებების, განსაკუთრებით მათემატიკის სიყვარული, რომელსაც ადვილად ითვისებდა. სოფლის შვიდწლედის დამთავრების შემდეგ გალაქტიონი (თანაკლასელები მას გალას უწოდებდნენძ შევიდა ქუთაისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში. არმიაში სამსახური ბავშვობიდან იტაცებდა, არტილერისტობაზე ოცნებობდა. და აი, რიონჰესზე მან დატოვა მორიგე ტექნიკოსის თანამდებობა და შევიდა თბილისის საარტილერიო სასწავლებელში. 1940 წელს ის ხდება ოცეულის მეთაური ბორისოგლებსკში. ომმა 25 წლის ლეიტენანტ გალაქტიონ ალფაიძეს ვორონეჟში მოუსწრო. ისე მოხდა, რომ სწორედ ამ ქალაქში გმირულად დაიღუპა მისი უფროსი ძმა ალექსანდრე,



გალაქტიონ ალფაიძე

რომელიც ასევე არტილერისტი იყო. გალაქტიონ ალფაიძის მიერ ომის წლებში განვლილ ცხოვრებასა და თავს გადახდენილს ერთი წიგნიც არ ეყოფა. მაგრამ ჩვენ მაინც მოვიყვანთ მხოლოდ ორ ეპიზოდს მისი საფრონტო ბიოგრაფიიდან...

... 1942 წლის იანვარი. გ.ალფაიძე მაშინ საარტილერიო პოლკის დივიზიონის მეთაურის მოადგილე იყო. მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლები ქალაქ მალოიაროსლავეცისთვის, რომელსაც მოსკოვის უკანასკნელ კარს უწოდებდნენ. თითქოსდა, კიდევ ერთი ძალისხმევა და გერმანელები განდევნილი იქნებიან ქალაქიდან. მაგრამ საბრძოლო მასალები რომ აღარ ჰყოფნიდათ?! – წინა დღით მოსული დიდი თოვლი არ იძლეოდა მათი ოპერატიულად მიღების საშუალებას. მაშინ სარდლობამ მიიღო გადაწყვეტილება – განეხორციელებინათ მეტად გაბედული ოპერაცია, რომელშიც ჩვენმა მამაცმა თანამემამულემაც მიიღო მონაწილეობა. არტილერისტები მზვერავთა ჯგუფთან ერთად შეიჭრნენ ქალაქის გარეუბანში, სადაც გერმანელთა ბატარეა იყო განლაგებული და გამანადგურებელ ცეცხლს უშენდა საბჭოთა ქვეით ჯარს. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ჰიტლერელები პანიკურად გაიქცნენ, მიატოვეს ბრძოლის ველზე დაჭრილ-დახოცილები, იარაღი და დიდი ოდენობის საბრძოლო მასალები. ალფაიძემ დაუყოვნებლივ გასცა ბრძანება – შეებრუნებინათ ქვემეხები მტრის მხარეს. ალფაიძის არტილერისტები დამიზნებით ესროდნენ ფაშისტებს მათივე იარაღით. მამაცმა ქართველმა ოფიცერმა ამ ბრძოლისთვის წითელი ვარსკვლავის ორდენი დაიმსახურა. მოგეხსენებათ, 40-იანი წლების დასაწყისში ორდენებით იშვიათად აჯილდოებდნენ... მრავალი წლის შემდეგ, როდესაც ქ.მალოიაროსლავეცის მცხოვრებლები გამარჯვების 40 წლისთავს აღნიშნავდნენ, ზეიმზე სპეციალურად მიწვეული საბჭოთა კავშირის გმირი გ.ალფაიძე ქალაქის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს...

ახლა კი გადავინაცვლოთ უნგრეთში, ბალატონის ტბის მიდამოებში, სადაც 1945 წელს გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლები. ჰიტლერელებმა გადაწყვიტეს, განეხორციელებინათ ღამის სატანკო შეტევა. როგორც წესი, ისინი ღამით შეტევაზე არ გადადიოდნენ ხოლმე, მაგრამ ომის ბოლოსთვის მათ გაუჩნდათ ღამის ხედვის ხელსაწყოები. აქ, მორიგი ჭრილობის მიღების შემდეგ, მაიორი გ.ალფაიძე დაინიშნა 113-ე მსროლელი დივიზიის საარტილერიო პოლკის უფროსად. სხვათა შორის, ის ამ პოლკს უხელმძღვანელებს ომის ბოლომდე და კიდევ ერთ წელიწადს გამარჯვების შემდეგ. შეიქმნა კრიტიკული სიტუაცია. და რომ არა გ.ალფაიძე, მისი გამჭრიახობა, ბრძოლის წარმოების ბრწყინვალე ტაქტიკა, საბჭოთა ნაწილებს ზამთრის იმ ღამეს ძალიან გაუჭირდებოდათ. ალყიდან თავისი დაჯგუფების გამოყვანის მიზნით ფაშისტებმა ორი მხრიდან შეუტიეს პლაცდარმს ტანკებით. პოლკი ფაქტობრივად ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა. მაიორმა ალფაიძემ სწრაფად შეაფასა ვითარება, მათემატიკური სიზუსტით გაიანგარიშა ყველა „კი“ და „არა“ და მიიღო არაორდინარული გადაწყვეტილება: როგორც კი ესესელთა დივიზიის ფაშისტური ტანკები წავიდნენ ღამის შეტევაზე, მდინარე დუნაის დაბლობი გაჩირაღდნდა ათობით კოცონით: საბჭოთა ჯარისკაცებმა გ.ალფაიძის ბრძანებით ააგიზგიზეს გათიბული ბალახის ზვინები. ყველაფერი განათდა, როგორც დღისით. გერმანელი ტანკისტები დაიბნენ, არ ელოდნენ მოვლენათა ასეთ განვითარებას – ისინი პანიკამ მოიცვა. არტილერისტებმა კი ისინი გულგრილად გაანადგურეს პირდაპირი ცეცხლით.

ხუთი დღისა და ღამის განმავლობაში იბრძოდა საარტილერიო პოლკი მაიორ გ.ალფაიძისა, რომელიც უკვე სამჯერ იყო დაჭრილი. კრიტიკულ მომენტში, როდესაც ქვემეხის მეთაური დაიღუპა, სამეთაურო პუნქტში თავის ორდინარეცთან ერთად გამოჩენილმა გ.ალფაიძემ გახსნა ცეცხლი და მტრის სამი ტანკი გაანადგურა. მიმდინარეობდა დაუნდობელი ბრძოლა. ამ დროს მახლობლად მტრის ჭურვი აფეთქდა. სისხლმდინარი გ.ალფაიძე დაეცა. ეს იყო მისი მეოთხე და სერიოზული ჭრილობა, თანაც კონტუზიური, თუმცა ბრძოლის ველი არ დაუტოვებია. მას ეჩვენებოდა, რომ ამ ხმაურში მისი აღარ ესმოდათ, ამიტომ ბრძანებებს ქაღალდზე წერდა. მხოლოდ საღამოს, დივიზიის მეთაურის ბრძანებით დატოვა მამაცმა არტილერისტმა ბრძოლის ველი. ის დივიზიის სამედიცინო-სანიტარიულ ნაწილში გადაიყვანეს. საბედნიეროდ, მას იქ დახვდა გამოცდილი საველე ქირურგი, ჩვენი თანამემამულე შოთა მჟავია, რომელმაც მარჯვედ გაუკეთა ოპერაცია, ყველა ნამსხვრევი ამოაცალა.

1945 წლის 28 აპრილს ჩვენ სახელოვან თანამემამულეს გალაქტიონ ალფაიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს.

გავიდა წლები. გალაქტიონ ალფაიძემ ორი სამხედრო აკადემია დაამთავრა: საარტილერიო და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბისა. სარდლობდა დივიზიას, მსახურობდა ჩრდილოეთი კავკასიის სამხედრო ოლქის საბრძოლო მომზადების უფროსად. სტრატეგიული დანიშნულების საბჭოთა სარაკეტო ჯარების შექმნის პირველივე დღეებიდან მსახურობდა არტილერიის მთავარი მარშლის მ.ნედელინის ხელმძღვანელობით.

იმ წლებში, როდესაც გ.ალფაიძე ხელმძღვანელობდა პლესეცკის რაკეტოდრომს, კოსმოსში გაუშვეს სხვადასხვა დანიშნულების 750-ზე მეტი კოსმოსური აპარატი. მაგრამ მის მეხსიერებას ყველაზე მყარად შემორჩა პირველი გაშვება. ეს მოხდა 1966 წლის 17 მარტს, 13 საათსა და 28 წუთზე. მკვეთრმა აფეთქებამ გაანათა 41-ე მოედანი. პლესეცკის პოლიგონის № 1 სასტარტო კომპლექსიდან სტარტი აიღო რაკეტმზიდმა „ვოსტოკ-2“-მა, რომელმაც ორბიტაზე გაიყვანა კოსმოსური აპარატი სახელწოდებით – „კოსმოს-112“.

გალაქტიონ ალფაიძემ, რომელიც გახლდათ საბჭოთა ეპოქის ორი გამოჩენილი მთავარი კონსტრუქტორის – სერგეი კოროლიოვისა და ალექსანდრე ნადირაძის ახალი სარაკეტო და კოსმოსური ტექნიკის თითქმის ყველა გამოცდის უშუალო მონაწილე, მოიპოვა საბჭოთა იმპერიის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის უდიდესი პატივისცემა და აღიარება. მას ანგარიშს უწევდნენ, მისი სიტყვისა სჯეროდათ გამოჩენილ აკადემიკოსებს, კონსტრუქტორებს, სპეციალისტებს.

რამდენჯერმე მომიწია ამ უაღრესად თავმდაბალ, მეტად ტაქტიან და მომხიბლავ ადამიანთან შეხვედრა. ჩვენ ვსაუბრობდით ჩვენს ზეგასაიდუმლოებულ იმ ქართველებზეც, რომლებიც მუშაობდნენ კოსმოსის, სარაკეტო, სამხედრო დარგებში. როგორი სახელებია: სარაკეტო-კოსმოსური ტექნიკის გენიოსი ვახტანგ ვაჩნაძე, დიდი ფიზიკოსი, აკადემიკოსი სამსონ ქუთათელაძე (1914-1986 წ.წ.ძ, მუშტაიდის მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზის ყოფილი მემანქანე, თხევადი სარაკეტო საწვავის გამოჩენილი სპეციალისტი ვიქტორ სოკოლსკი, სამხედრო მშენებლობის გამოჩენილი ორგანიზატორი არჩილ გელოვანი (1915-1978 წ.წ.ძ, თავის საქმეში ტოლდაუდებელი, სამგზის სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და ოთხგზის სტალინური პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი კირილ შჩოლკინი (1911-1968ძ, რომელიც ყოველთვის ამაყობდა თავისი თბილისური წარმომავლობით...

განსაკუთრებით ხშირად ვიგონებდით სარაკეტო ტექნიკის გენიოსს, აკადემიკოს ალექსანდრე დავითის ძე ნადირაძეს (1914-1987 წ.წ.ძ. მე ბედნიერება მქონდა, არა მხოლოდ გავცნობოდი მას მოსკოვში, არამედ 1984 წელს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მოწვევით ჩამომეყვანა კიდეც „თბილისობის“ დღესასწაულზე, რომელზეც იგი თბილისის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

– ალექსანდრე ნადირაძე, – იგონებდა ბატონი გალაქტიონი, – გავიცანი 1960 წელს, სარაკეტო პოლიგონზე, რომელსაც ვმეთაურობდი. მაშინ სარაკეტო ტექნიკას ვაცნობდი საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურს. ამის შემდეგ 15 წლის განმავლობაში ვაწარმოებდი ყოველი იმ კონსტრუქციის გამოცდას, რომლის ავტორიც გახლდათ გენიოსი ალექსანდრე ნადირაძე. მას, ისევე როგორც სერგეი კოროლიოვს, სსრ კავშირშიც და მსოფლიოშიც, ბადალი არ ჰყავდათ. ს.კოროლიოვი და ა.ნადირაძე ორ სხვადასხვა საკონსტრუქტორო ბიუროს ედგნენ სათავეში, პარალელურად ამუშავებდნენ ორ სხვადასხვა მიმართულებას. მაგრამ ისინი მეგობრობდნენ, ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, თათბირობდნენ. როდესაც ალექსანდრე ნადირაძეს 50 წელი შეუსრულდა, კოროლიოვმა მას მთვარეზე გაგზავნილი სახელგანთქმული ვიმპელის ასლი აჩუქა...

1975 წელს გალაქტიონ ალფაიძე თადარიგში გავიდა, არმიაში თითქმის ოთხი ათეული წლის სამსახურის შემდეგ. მაგრამ მას მალე ნიშნავენ მოსკოვის საწვავი ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორის, მთავარი კონსტრუქტორის ალექსანდრე ნადირაძის მოადგილედ, სადაც იმუშავა 1992 წლამდე. უბრალო სახელწოდების ამ ინსტიტუტში იქმნებოდა ყველაზე მრისხანე საკონტინენტთაშორისო რაკეტები. სწორედ ამ ინსტიტუტის კედლებში მიენიჭა გალაქტიონ ალფაიძეს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია კოსმოსური დარგის განვითარებაში უზარმაზარი დამსახურების გათვალისწინებით. აირჩიეს ქ.მირნის საპატიო მოქალაქედ. ეს ქალაქი კოსმოდრომ „პლესეცკის“ მიდამოებშია.

გალაქტიონ ალფაიძე იყო ნადირობის ტრფიალი, ფიზიკური კულტურის დიდი მოყვარული. ჩრდილოეთის პირობებშიც კი, ის ყოველ დილით აწყობდა გრძელ გარბენებს. მას იცნობდნენ აგრეთვე, როგორც სახელგანთქმულ „მორჟს“ გოლიათის ფიგურით. ერთხანს, როდესაც უკვე გადამდგარი იყო, სათავეში ედგა მოსკოვის წყალქვეშა ცურვის სექციას.

მაგრამ, დროთა განმავლობაში, ოთხ ჭრილობას, რომლებიც მან ფრონტზე მიიღო, ზესაიდუმლოების პირობებში მუშაობის რიტმს, არ შეიძლებოდა თავისი გავლენა არ მოეხდინა გალაქტიონ ალფაიძის ჯანმრთელობაზე. ფეხზე რამდენიმე ოპერაციაც კი გაუკეთეს, მაგრამ უნაყოფოდ – სხვის დაუხმარებლად გადაადგილებაც აღარ შეეძლო. შემდეგ ის რიაზანში გადასახლდა თავის ვაჟიშვილთან. ძალები თანდათან ტოვებდნენ. 2006 წლის 2 მაისს კი გარდაიცვალა. წავიდა ამ ქვეყნიდან ქართველთაგან უკანასკნელი საბჭოთა კავშირის გმირი და უკანასკნელი საფრონტო გენერალი.

გალაქტიონ ალფაიძე დაკრძალულია მოსკოვში ტროეკუროვის სასაფლაოზე. იმავე წლის 10 ნოემბერს კი მის მშობლიურ სოფელ კურსებში საზეიმოდ გაიხსნა გ.ალფაიძის მემორიალი, ვისი გმირული და კრისტალურად სუფთა ცხოვრება დაამშვენებდა ნებისმიერი ქვეყნის, ნებისმიერი ხალხის ისტორიას. გვყავდა საამაყო პიროვნება – სადღეისოდაც და სამომავლოდაც.



**ლევან დოლიძე,**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აფხაზეთი მანდარინის რესპუბლიკად დარჩება?

**შეიარაღებული კონფლიქტების დამთავრების შემდეგ ზონები, სადაც ეს კონფლიქტები ვითარდებოდნენ, გამოიყურებიან შემზარავად მშვიდად. მაგალითად, როდესაც 2008 წლის აგვისტოს შემდეგ საზღვარი დაკეტილია, დასავლეთი საქართველოდან აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში მოხვედრა შეიძლება მხოლოდ ფეხით. გასულ თვეს გავიარე საქართველოს სამხედრო საკონტროლო-გამშვები პუნქტი მდინარე ენგურის ხიდზე მეტად მზიან დღეს. ჩრდილოეთით ჰორიზონტზე ბუნდოვნად მოჩანდნენ კავკასიის თოვლით მწვერვალები. მაგრამ ამავე დროს სუფევდა გამაოგნებელი სიწყნარე.**

ამ უხალხო მიწის ძირითადი ბინადრები – ეს ბაყაყებია. მე მივდიოდი ქართველ თავაზიან ქალთა ჯგუფთან ერთად, რომლებიც ათასობით სხვებთან ერთად დადიან ზუგდიდსა და გალს შორის, რომელიც აფხაზეთის სამხრეთი რაიონია. ამ გალელ ქართველ ქალებს ძალიან უჭირდათ: მათი ოჯახები და ქონება მდინარის სხვადასხვა ნაპირებს იყო.

რამდენიმე წლის წინათ, უბრალოდ ვეტკბებოდი ამ ხიდზე ნამდვილი დეტექტიური რომანის სადარი ვითარების ცქერით სადავო იურისდიქციის საერთაშორისო ზონაში. მაგრამ აშკარად მე უფრო თანაუგრძნობდი უბედურ ქართველ ქალებს, რომელთა ცხოვრებაც გათიშა საკონტროლო-გამტარმა პუნქტმა დასავლეთ საქართველოსა და თითქოს დაპირისპირებულ აფხაზეთს შორის. მათ ხშირად უხდებოდათ რეგულარული ხანგრძლივი მოგზაურობა, მიუხედავად წვიმისა და მცხუნვარე მზისა. „როდის დამთავრდება ეს ყოველივე?“ – ვფიქრობდი, როდესაც მივუახლოვდით სამხედრო ფორმაში გამოწყობილ მცველებს ხიდის მეორე მხარეს, რომელიც ასრულებს აფხაზეთის ციხე-სიმაგრის ფოლადისა და ცემენტის კარის როლს.

გეოგრაფიულად აფხაზეთის რესპუბლიკას უკავია შავი ზღვის სუბტროპიკული ზონის მიმზიდველი მიწა. მაგრამ 1993 წლიდან მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე მას არ გააჩნია კანონიერი ადგილი. როდესაც 1990-იან წლებში ტრაგიკულ სამოქალაქო კონფლიქტში საქართველოს მთავრობასთან გამარჯვება მოიპოვეს, ძირძველმა აფხაზებმა და მათმა მოკავშირეებმა, ძირითადად სომხებმა და რუსებმა, ააგეს დე ფაქტო სახელმწიფო მოქმედი მთავრობით, დაწესებულებებითა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

სახელმწიფოს აგების აფხაზურმა პროექტმა მხარდაჭერა მოიპოვა საქართველოსა და რუსეთს შორის მეორე გამოყოფილი რესპუბლიკის სამხრეთ ოსეთისთვის 2008 წლის ომის შემდეგ. კონფლიქტის შემდეგ რუსეთმა აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა და მკვეთრად გაზარდა აქ თავისი სამხედრო ყოფნა. მაგრამ მსოფლიოს უმეტესი ნაწილისთვის აფხაზეთის რესპუბლიკა ჯერ ისევ სუვერენული საქართველოს ნაწილად ითვლება და, მაშასადამე, უკანონო იურიდიულ ობიექტად, კერძოდ იმიტომაც, რომ 200 ათას ქართველს, რომლებიც აქ ომამდე ცხოვრობდნენ, დღემდე არ შეუძლია დაბრუნდეს თავიანთ სახლებში.

მე არ ვყოფილვარ აფხაზეთში 2008 წლის შემდეგ. როდესაც გასულ თვეში იქ ჩავედი, აღმოვაჩინე სოხუმი უფრო წესრიგიანად და აყვავებულად, ვიდრე 2 წლის წინათ. მაღაზიები და კაფეები გახსნილი იყო და მუშაობდნენ, ცენტრალურ ქუჩებზე დრო და დრო ჩნდებოდა საავტომობილო საცობები. შემცირდა დანგრეულობანი. მაგრამ მე ქალაქს ვერ ვუწოდებდი „გაცხოველებულს“. ცენტრალურ სკვერში დღემდე არის აღმართული კომუნისტური პარტიის ყოფილი მთავარი სამმართველოს 13-



სართულიანი დამწვარი შენობის ჩონჩხი.

ჩემი განწყობილება გაუმჯობესდა, როდესაც ვსეირნობდი შავი ზღვის სანაპიროზე, ახლად შეღებილი სასტუმროების, მაღაზიების, პალმებისა და ნორჩი ფიჭვების გვერდით. თბილოდა, 20 გრადუსზე მეტი იყო ტემპერატურა, და სეირნობა დავამთავრე ზღვისპირა კაფეში „აკოფთან“ (მისი სომეხი მფლობელის სახელის შესაბამისად, რომელსაც რუსულ ენაზე, ერთი სიტყვით, „ბრეხალოვკას“ უწოდებენ. აქ მამაკაცები თამაშობენ დომინოს, ნარდს ან ჭადრაკს, ეწევიან გაუთავებლად, სვამენ თურქულ ყავას და საუბრობენ პოლიტიკის ახალ ამბებზე. აქ თუ დიდხანს დაჰყოფთ, შეიძლება შეხვდე ბევრ იმ ადამიანს, ვისთანაც გინდა შეხვედრა და საუბარი. ზოგჯერ აქ მოდის რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფშიც კი.

პირველი შთაბეჭდილება, რომელიც ამ კაფეში საუბრებიდან გამოვიტანე, იყო ის, რომ აფხაზებს არ უყვართ საუბარი საქართველოს შესახებ. მათი თვალსაზრისით, კონფლიქტი გადაწყდა – მათს სასარგებლოდ – და საჭიროა ცოტა კიდევ მოვიცადოთ, ვიდრე დანარჩენი მსოფლიოც აითვისებს ამას.

აფხაზეთის ოფიციალური პირები უარყოფენ ურთიერთმოქმედების ამასწინანდელ სტრატეგიას, რომელიც საქართველოს მთავრობამ შესთავაზა და რომელიც მიზნად ისახავს კონტაქტების აღდგენას აფხაზეთისა და საქართველოს მოსახლეობას შორის, ამაში ისინი მხოლოდ მოუხერხებელ პიარ-სვლას ხედავენ. რასაკვირველია, აფხაზებს არ შეუძლიათ მუდმივად ჰქონდეთ წარმოდგენა, რომ საქართველოს და გასახლებულ მოსახლეობას არ ექნებათ პრეტენზიები. მაგრამ საქართველოს მთავრობის კიდევ ერთი ინიციატივამ, ეჭვობა, გაურთულა მათ ცხოვრება ამ თვალსაზრისით. თბილისი დაჟინებით აცხადებს, რომ აფხაზეთი ეს არის „რუსული ოკუპაციის“ ზონა. ამ ფორმულამ მხარდაჭერა მოიპოვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის მხრიდან შარშან ივლისში. ამით თბილისი აფხაზეთში ხედავს მხოლოდ რუსეთის ინსტრუმენტს, რომელშიც არ არის რაიმე საკუთარი დაწესებულებანი. ეს კი, თავის მხრივ, ამცირებს ყოველგვარი ინიციატივის შესაძლებლობას აფხაზეთის მხრიდან ქართველებთან დიალოგისთვის.

ჩემი მეორე შთაბეჭდილება არის ის, რომ ხანმოკლე თაფლობის თვე რუსეთთან ურთიერთობისა, რაც დაიწყო 2008 წელს, თანდათან დაბლა ეცემა. მოსკოვი და სოხუმი ამ მომენტამდე დავობენ ერთმანეთთან ეთნიკური რუსი მოსახლეობის ქონების უფლებების საკითხზე, რომელთა უმრავლესობამაც დატოვა თავიანთი სახლ-კარი 1992 წლის ომამდე, როდესაც საქართველოს შეიარაღებული ძალები შეიჭრნენ აფხაზეთში, რათა დაემხოთ მისი ავტონომიური მთავრობა.

ეს ყოველივე როდი ნიშნავს იმას, რომ რუსეთი და აფხაზეთი უარს იტყვიან ერთმანეთზე. აფხაზეთს რუსეთი სჭირდება როგორც მსოფლიოში გასასვლელი, როგორც სუბსიდიებისა და სახსრების წყარო და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, როგორც უშიშროების წყარო.

აფხაზური ელიტა დღემდე განიცდის კონტაქტების უქონლობას გარე სამყაროსთან რუსეთის ფარგლებს მიღმა. მაგრამ უკანასკნელი ორიოდე წლის განმავლობაში, აფხაზებისთვის უფრო რთული გახდა ვიზების მიღება ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. სულ უფრო ცოტა საკონსულოები ღებულობენ აფხაზებს, რომლებიც მოგზაურობენ რუსეთის საზღვარგარეთის დოკუმენტებით, ხოლო საკომპრომისო გადაწყვეტილებათა სფეროში პროგრესი მეტად უმნიშვნელოა. ამის ერთ-ერთი შედეგი გახდა ის, რომ აფხაზეთში ინგლისური ენის შემსწავლელ სტუდენტთა უმრავლესობას არ შეუძლია გაემგზავროს ინგლისურად მოლაპარაკე ქვეყანაში. პრემიერ-მინისტრი სერგეი შამბა ჩივის: მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი აცხადებს თავის პოლიტიკას „უღიარებლობისა და ურთიერთმოქმედების შესახებ“, აფხაზები ამაში ხედავენ მხოლოდ პირველს და ვერ ხედავენ უკანასკნელს. „თუ ჩვენ მივიღებთ ვიზებს, ეს გადაიქცევა საქართველოსთან და არა ევროპასთან ურთიერთმოქმედებად“, – განაცხადა მან ჩემთან საუბრისას.

აფხაზეთის მრავალეროვნულ ინტელიგენციას უყვარს და შეუძლია კიდეც საუბარი. როდესაც მე სამოქალაქო საზოგადოებისა და ჟურნალისტებისთვის მოვაწყე მრგვალი მაგიდა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის თემაზე კავკასიაში, ხალხი მაძლევდა მეტად მწვავე შეკითხვებს, აკეთებდა საინტერესო კომენტარებს. მაგრამ, იმისდა მიხედვით, თუ როგორ იზრდებოდა რუსეთის ზემოქმედება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, დასავლეთი კი მეორე პლანზე გადადიოდა, პოლიტიკური სივრცე ვიწროვდება.

აფხაზეთის სამინისტროები დღემდე რჩებიან მეტად პატარა ორგანიზაციებად მცირე თანამშრომლებით, რომლებიც განკარგავენ 4,4 მილიარდი რუბლის (140 მილიონი დოლარისძ სამთავრობო ბიუჯეტს. ამას გარდა, აფხაზეთის ეთნიკური პოლიტიკა ორიენტირებულია ოტომანური საზოგადოების ტრადიციებზე, სადაც ორი ძირითადი ეროვნებიდან ერთ-ერთი, აფხაზები, მართავდა პოლიტიკურ დასაზოგადოებრივ სექტორში, ხოლო მეორე, სომხები ,უმთავრესად ბიზნესით იყო დასაქმებული.

ევროკავშირის სტრატეგია აფხაზეთთან ურთიერთობანი იყო ძირითადი თემა სემინარისა, რომელშიც მივიღე მონაწილეობა ამ ცოტა ხნის წინათ ბრიუსელში. მიღწეული იქნა შეთანხმება, აფხაზეთზე საქართველოს პრეტენზიების აღიარების შესახებ. ევროკავშირი დაინტერესებულია, რომ აფხაზეთი არ დარჩეს „გამოგლეჯილ ადგილად“ რუკაზე, რომელსაც ფარავს საქართველო, მაგრამ, რომელსაც აქვს საქართველოსგან განსხვავებული ინტერესები.

მაგრამ, როგორიც უნდა იყოს ხანგრძლივი სტატუსის მომავალი და საქართველოსთან შეთანხმების მიღწევები, არსებობს გაცილებით უფრო სასიცოცხლო საკითხი. შეუძლია განა ახალგაზრდა აფხაზურ მთავრობას მართლაც მართოს იგი, რაც ამჟამად მის განკარგულებაშია? თუ აფხაზეთი ძველებურად ყავის რესპუბლიკად დარჩება და ილაპარაკებს მხოლოდ, შეხედავს დანარჩენ სამყაროს გარედან, თუ მათ მომავალს სხვები განსაზღვრავენ.

Foreign Policy

## დედამიწის ზურგზე



**შვარცენეგერი ემშვიდობება კალიფორნიას – იგი უკანასკნელ დღეს გაატარებს გუბერნატორის პოსტზე**

ამჟამინდელი გუბერნატორი ტოვებს პოსტს, კალიფორნიას საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ტოვებს. შტატს ბიუჯეტის ასტრონომიული დეფიციტი აქვს, დიდია უმუშევრობის დონე, თავად შვარცენეგერის რეიტინგი კი 22 პროცენტამდე დაეცა.

* * *

**იაპონია კავშირს შეკრავს სამხრეთ კორეასთან კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ბრძოლისთვის**



იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სეიძი მაეხარამ განაცხადა, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული პროვოკაციები საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ „სტაბილურობასა და მშვიდობას“ კორეის ნახევარკუნძულზე, არამედ მთელ აღმოსავლეთ აზიასაც. იაპონია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან მორიგ პროვოკაციებს ელოდება.

* * *

**ჩინეთის სამხრეთში ყინულის წვიმამ ავტომაგისტრალებზე მოძრაობის პარალიზება გამოიწვია**



საქალაქთაშორისო ავტობუსების დაახლოებით 20 ათასი მძღოლი და მგზავრი, აგრეთვე ხალხი ავტოსადგურებზე უამინდობის მძევლებად იქცნენ. მაღალი ძაბვის ხაზებზე ჩაირთო სპეციალური მოწყობილობა, რომლებიც ხელს უწყობენ გაყინული მავთულების დნობას.

* * *

**ჩილეში 7,1 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა**

დარღვეულია ელექტროენერგიის მიწოდება და სატელეფონო კავშირები. ძლიერი მიწისქვეშა ბიძგის ეპიცენტრი ქალაქ თემუკოდან 67 კილომეტრშია. მისი კერა 17 კილომეტრის სიღრმეზეა. ინფორმაცია მსხვერპლის შესახებ არ შემოსულა. ცუნამის წარმოქმნის საფრთხე ჯერჯერობით არ არის.



# საქართველო რუსეთის გულგრილობაზე განაწყენდა

**მოსკოვმა უგულებელყო თბილისის ინიციატივა, უარი თქვას ძალის გამოყენებაზე. ამის შესახებ განაცხადეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში: რუსეთი აგრძელებს სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული შეთანხმების დარღვევას.**



„რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი სერგეი ლავროვი ადასტურებს, რომ რუსეთს არ აქვს განზრახული, უპასუხოს საქართველოს ცალმხრივ ინიციატივას ძალის გამოუყენებლობის შესახებ და კვლავაც გააგრძელებს 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების უხეშ დარღვევას, წარმოაჩენს საერთაშორისო თანამშრომლობის სამართლიანი მოთხოვნების უგულებელყოფის პოლიტიკას“, – ნათქვამია საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების განცხადებაში, რომელიც გამოაქვეყნეს ადგილობრივმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა.

თბილისის აზრით, ვალდებულებათა დარღვევა – რუსეთის დიპლომატიის „სავიზიტო ბარათია“. მაგალითად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოჰყავს მოსკოვის ამასწინანდელი გადაწყვეტილება, განათავსოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დამატებითი ძალები.

შეგახსენებთ, რომ ნოემბერში საქართველოს პრეზიდენტმა ევროპარლამენტში გამოსვლის დროს განაცხადა ძალის გამოუყენებლობის შესახებ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, აგრეთვე შესთავაზა რუსეთს, დაიწყოს პოლიტიკური დიალოგი. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში უპასუხეს, რომ მიხეილ სააკაშვილი ცდილობს, დაარწმუნოს საერთაშორისო საზოგადოებრიობა „რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტის არსებობის შესახებ მაშინ, როდესაც საკითხი შეეხება მრავალწლიან კონფლიქტს თბილისსა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხებს შორის.

„დეკემბრის დასაწყისში ცნობილი გახდა, რომ რუსეთმა სამხრეთ ოსეთში განათავსა მძიმე სარაკეტო კომპლექსები „სმერჩი“. საქართველომ ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამგვარი გადაწყვეტილება არის მოსკოვის „აგრესიული პოლიტიკის“ გაგრძელება.

Утро.ru

ლიტერატურული პრემია

# 10 ათასი ლარი – აკა მორჩილაძეს!



**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პრემია „საუკეთესო ქართული რომანი 2009-2010“ რომანისათვის „მამლუქი“ აკა მორჩილაძეს გადაეცა. გამარჯვებული 10 ათასი ლარით დაჯილდოვდა.**

კონკურსის გამარჯვებული ილიას უნივერსიტეტის რექტორმა გიგი თევზაძემ დაასახელა. კონკურსში 20 ავტორი მონაწილეობდა.

მეორე ადგილზე ზაზა ბურჭულაძის რომანი „აბიბასი“ გავიდა, ხოლო, მესამე ადგილი რომანით „ლიტერატურული ექსპრესი“ ლაშა ბუღაძემ დაიკავა.

ოცკაციანმა ჟიურიმ გამარჯვებული რომანი ხმათა უმრავლესობით დაასახელა. ჟიურიში ილიას უნივერსიტეტის ცხრა სტუდენტი და 11 ლექტორი შედიოდა. **„კონკურსის მიზანი საქართველოში ლიტერატურის სტიმულირება იყო. წლეულს კონკურსში სულ 20 რომანი მონაწილეობდა. იმედი გვაქვს, რომ მომავალ წელს ეს რიცხვი გაიზრდება,“** – აღნიშნა გიგი თევზაძემ.

მწერალი და ისტორიკოსი აკა მორჩილაძე (გიორგი ახვლედიანი) დაიბადა 1966 წლის 10 ნოემბერს. 1988 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა. აქვე მუშაობს ბოლო 17 წლის განმავლობაში. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. ადრეულ 90-იან წლებში პარალელურად იგი საპარლამენტო სხდომების მიმომხილველად მუშაობდა „რეზონანსისთვის“ და სხვა რამდენიმე ბულვარული გაზეთისთვის; მისი თქმით – „ჩვენთან მწერლად ყოფნა სულ სხვა რამეა, დანარჩენ მსოფლიოში კი – სულ სხვა. ამიტომ, მწერლად თავს ვერ ჩავთვლი. ჩემი მოკლე ჭკუით, ამას ისა სჯობს, აღიარო, წერა მსიამოვნებს და ვწერ, ვინაიდან ამის უფლება ყველას აქვს-თქო.“

მისი მთავარი ლიტერატურული ნამუშევრები რომანებია: “ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ (1995წ, „გადაფრენა მადათოვზე და უკან“, „გაქრები მადათოვზე“ (1998წ, „მოგზაურობა ყარაბაღში“ (1992წ, „აგვისტოს პასიანსი“ (2001წ, „სხვანი“ (2002წ, „შობის ღამის ალქაჯები“ (2002წ, „სანტა ესპერანსა“ (2004წ და სხვ.

რომანი „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ მოგვიანებით ადაპტირებულ იქნა პიესად და პირველად 1999 წელს დაიდგა სანდრო ახმეტელის თეატრში. მასში 1992-93 მძიმე წლების ქართული ცხოვრებაა აღწერილი. მისი წიგნები საქართველოში ბესტსელერებია (2003 წელს მას 15.000 ასლი ჰქონდა გაყიდული).

2003 და 2005 წლებში მიიღო პრესტიჟული ლიტერატურული ჯილდო „საბა“.

**ნატა ნიბლაძე**



მსახიობის უკვდავება

# „მე თქვენ გამღერებთ ნოტებზე, თუ ვარ იპოლიტე!“



***გაგიჟებულია** იპოლიტე, გაცოფებულია – ერთადერთი საფიცარი ქალიშვილი იმ ხულიგანს გაჰყოლია ცოლად, ის ავაზაკი ბიჭი შეყვარებია, რომელმაც, ცოტა ხნის წინათ, რევოლვერი მოუღერა იპოლიტეს! თურმე, როგორ ატყუებდნენ, აცუცურუკებდნენ ქალიშვილიცა და დებიც – მომღერალიაო, ასეთიაო, ისეთიაო... სახლშიც კი მოაწვევინეს... „მე თქვენ გამღერებთ ნოტებზე, თუ ვარ იპოლიტე!“ – გაჰყვირის და ფაცხაფუცხით იცვამს, სოფელში მიიჩქარის თავის ძმასთან, სადაც უკვე საქორწილოდ ემზადებიან.*

*ჰოდა, მართლაც გვახალისებს და „გვამღერებს ნოტებზე“ ჩვენი იპოლიტე – საახალწლო სუფრასთან ვსხედვართ, ტელევიზორში კი „მხიარულ რომანს“ უჩვენებენ, ფილმს, რომელშიც ნიჭიერების კასკადს ახვევს გენიალური (დიახ, დიახ, გენიალური!) ქართველი კომიკოსი.*

*და ასე რამდენჯერ!.. ყოველი ფილმი მისი მონაწილეობით ხომ, მართლაც განსაკუთრებულია, აღარ გვინდა ჩამოთვლა, დარწმუნებული ვარ, ისედაც ზეპირად იცის მკითხველმა... ეს ფილმები სიცოცხლის სიხარულს მატებენ ყველა თაობის მაყურებელს, თითქოს დაექადნოს სამსახიობო გზის დასაწყისში: „მე თქვენ გამღერებთ ნოტებზე, თუ ვარ იპოლიტე!..“ ეგერ ეეეე... ხონში დაექადნოს მრავალი ათეული წლის წინათ...*

*შევყურებ ტელეეკრანს და მაგონდება: დაბადების 70 წლისთავზე სახლში ვეწვიე – ზემო ვერაზე, სევასტოპოლის ქუჩაზე. ავად იყო, იწვა, თუმცა წამოჯდა საწოლზე და მესაუბრება, ხუმრობის ხასიათიც არ განელებია.*

– 1910 წლის 30 დეკემბერს დავბადებულვარ ხონში... ბაბუაჩემ კოსტა თოფურიას გამოუტანია ფილთა თოფი და მეზობლებს გაუგიათ ალექსი ხვიჩიას ოჯახში მეოთხე ბიჭის დაბადება (ორი დაც მყავდა). ძალიან სუსტი დავბადებულვარ, ვკვდებოდი თურმე. მაშინ ბავშვს მოუნათლავს არ დამარხავდნენ და, რა თქმა უნდა, მღვდელი მოუყვანიათ. ღვთის მსახურს ჩავუსვივარ თბილი წყლით სავსე ტაშტში და მეც გამოვბრუნებულვარ. დამარქვეს იპოლიტე, მაგრამ კარგა ხანს ყველა „კუშიას“ მეძახდა. ეს მეტსახელიც ჩემი საცოდაობით შემერქვა. არ ვჭამდი თურმე არაფერს და ხან ქართულად მთხოვდნენ, ხან რუსულად – „კუში“, „კუშიო“, სულ ავადმყოფსა და მილეულს, დედაჩემი თურმე რაღაც წამალს მასმევდა. ერთხელაც შეშლია და წამლის მაგივრად სპირტი მოუცია, დამიჯერეთ, იმის შემდეგ სიცხე არასდროს მქონია და დიდობაშიც თუ ოდნავ შეუძლოდ გავხდებოდი, ცოტაოდენი არაყი იყო ჩემი წამალი...

**ვიცინით გულიანად, იქვე მოფუსფუსე მეუღლეც თავს ვერ იკავებს...**

**ვამხნევებ: – ახლა უკეთესობა გეტყობათ...**

– თითქოს არა მიშავს... ორი წელიწადი ჩამომაცილა ყველაფერს ამ ავადმყოფობამ.

**...თავიდან კი იყო ხონის თეატრი, მერე ქუთაისი, თბილისი – რუსთაველის თეატრი... და ყოველთვის უდუბლიოროდ... 70-მდე მთავარი როლი კინოში, ეპიზოდებზე აღარ ვამბობთ.**

**– გადასაღებ მოედანს თოკებს შემოავლებდნენ ხოლმე, ხალხი აწყდებოდა, დაგვანახეთ ერთი ეს ლამაზი კაციო, – ეშმაკურად მეუბნება მეუღლე.**

– ჰაი, დედასა! ვინ იყო ის, პოლონეთში რომ გადასარევი ქალები შემოეხვია, ავტოგრაფი მოგვეციო! – არ ტყდება იპოლიტე, – მაგას არ დაუჯეროთ, ახლა დროებით ჩამომაშორა ავადმყოფობამ ჩემს საყვარელ საქმეს, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩემი საოცნებო სანჩო და გვადი ბიგვა არ ვითამაშო...

**– ნათამაშევი როლებიდან, მაინც რომელს გამოარჩევთ?**

– ოოო... დახუნდარა მიყვარს ძალიან „კოლხეთის ცისკარში“... კინოში უფრო მეტია – აი, თუნდაც „არ იდარდოში“, „მხიარულ რომანში“.

**მასპინძელს საპატიო ადგილას ჰქონდა გამოკრული ლუი დე ფიუნესის, ევგენი მორგუნოვის, გიორგი ვიცინის, ბუბა კიკაბიძის ფოტოები, კადრები კინოფილმებიდან... იქვე ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელების ფოტოებიც იყო.**

**ვეუბნები: – ეტყობა, ფეხბურთი ძალიან გიყვართ...**

– ფეხბურთი, ლელობურთი თავიდანვე მიყვარდა. ქუთაისის თეატრში ფიზკულტურის კომიტეტს ვხელმძღვანელობდი. დიდი ამბები გვქონდა, ფეხბურთის მატჩებიც კი მოვაწყვეთ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრის მსახიობებთან. რუსთაველის თეატრს რომ შევხვდით, ეტყობა მაგრად ვთამაშობდი და ეროსი მანჯგალაძემ და რამაზ ჩხიკვაძემ ძლივს შემაჩერეს, ბურთის მაგივრად მე მომახვედრეს ფეხი. მოედანზე გაშხლართულს თავი უფრო მტკიოდა. მერე გავიგე, თურმე სანამ წავიქცეოდი, ბურთი თავზე დამცემია, კარში კი შესულა, მაგრამ მე ჩემი დამემართა... შეხვედრა ფრედ – 4:4 დამთავრდა. ბანკეტზე ემანუილ აფხაიძემ ექსპრომტი მომიძღვნა: „მიტომ გახდა ნიჩიაო, თამაშობდა ხვიჩიაო“...ეეეე... კაი დრო იყო...

* * *

**იმ დღეს რამდენიმე ტელეარხი უჩვენებდა ქართულ ფილმს იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით, – რა საქმეა – დიდი იპოლიტეს დაბადების 100 წლისთავი შესრულდა. სიმხიარულე, სიხალისე შემოიტანა საახალწლოდ ოჯახებში ხალხის საყვარელმა მსახიობმა, „აგვამღერა ნოტებზე“ და იმაშიც დაგვარწმუნა, რომ კვლავაც მრავალ თაობას დააყენებს იგი სიმღერის ხასიათზე, რაგინდ მოღრუბლული ვიყოთ.**

**ვილენ მარდალეიშვილი**

ვაიმე, ენავ!

რუბრიკას უძღვება მურმან თავდიშვილი

# ვიხმაროთ „დედათმავალი“

**იმ დროს, როდესაც მრავალთ უმრავლესი მშობლიური ენის სიწმინდის დაცვას უდიერად ეკიდება, არ ზრუნავს სწორწერასა და სწორმეტყველებაზე, პროფესორი ოთარ გამყრელიძე, ცნობილი სამართალმცოდნე, ამ საქმეს საგანგებო ძალისხმევას ახმარს. მან მრავალი მოსაზრება განავითარა ცალკეული იურიდიული ტერმინის თაობაზე, შემოგვთავაზა არაერთი სიახლე, მისი ნეოლოგიზმები მისადაგებულია სამართალმცოდნეობრივ აზროვნებას, გამოხატავს ქართულ სინამდვილეს და იცავს დედაენის წეს-კანონებს.**

პროფესორის ეს მცდელობა მისაბაძია; სხვა დარგის მეცნიერები მის კვალს უნდა გაჰყვნენ!

ამჟამად მინდა იმ სამ სიტყვაზე გესაუბროთ, ბატონმა ოთარმა ამ ბოლოს რომ შემოგვთავაზა. ეგ ტერმინ-ცნებები თავის წიგნებში მან კიდევაც გამოიყენა.

გვაქვს ტერმინი „უვარგისი“. ამის საპირისპიროა „ვარგისიანი“. „ვარგი“ (შევიხსენოთ რუსთველის „კაცი ვარგი“), ოღონდ სამართლებრივ აზროვნებაში საძიებელი იყო სიტყვა-ტერმინი, რომელიც გამოხატავდა მიწის გაფუჭებას, უვარგისად გახდომას, და, აი, მოაზროვნემ შემოიღო ენის წესების დაცვით მოფიქრებული ფორმა **მიწის გაუვარგისება.** ვფიქრობთ, „გაუვარგისება“ სამართლებრივ ნაშრომებში იოლად უნდა დამკვიდრდეს.

ასევე საქმის იურისპრუდენციულ არსს მარჯვედ და გერგილიანად გამოხატავს **სუყველგანობის პრინციპი.** ამ გამოთქმის დამკვიდრებასაც, ასე მგონია, წინ ვერაფერი დაუდგება.



სამწუხაროდ, ამ ბოლოს გავრცელდა ე. წ. **„ლესბოსელობა** (როგორც ქმედება და როგორც ტერმინი).

ბატონი ოთარი მშვენიერ წინადადებას იძლევა:

რაკილა გვაქვს კარგად დამკვიდრებული პარალელური ტერმინი **მამათმავალობა** და **მამათმავალი,** მოდით და შევქმნათ ამის ანალოგიური საპირისპირო ცნებაო, ეს გახლავთ **დედათმავლობა** და **დედათმავალი.**

მაშ, ერთი მხრივ, მოვიმარჯვოთ ტერმინები „მამათმავლობა“ და „მამათმავალი“, ხოლო, მეორე მხრივ, გამოვიყენოთ და ვიხმაროთ „დედათმავლობა“ და „დედათმავალი“.

მშვენიერი აზრია!

ინფორმაცია

## სატელეფონო ურთიერთჩართვის ტარიფი შემცირდა



**ფიქსირებული** სატელეფონო მომსახურების კომპანიების ურთიერთჩართვის შემცირებული ტარიფი უკვე ძალაშია.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით, ურთიერთჩართვის ტარიფი 4-დან 2 თეთრამდე შემცირდა. კომისიაში განმარტავენ, რომ აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ ქალაქის ტელეფონით საუბრის ღირებულების შემცირება უნდა გამოიწვიოს.

თუმცა ამ ეტაპზე უცნობია, მიიღებენ თუ არა კავშირგაბმულობის კომპანიები სამომხმარებლო ტარიფის გაიაფების გადაწყვეტილებას.

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ურთიერთჩართვის 2-თეთრიანი ტარიფი ძალაში 2011 წლის 1-ელი იანვრიდან შევიდა.

**ᲮᲘ-ᲔᲘᲜ-ᲔᲜᲘ**

ფეხბურთი

# საახალწლო მოზაიკა



**საშობაოდ ნავთობკომპანია „სოკარი“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური სპონსორი გახდა.**

საზეიმო ღონისძიებაზე გაფორმებული ერთწლიანი კონტრაქტის თანახმად, იგი მიხეილ მესხის სახელობის ვაკის სტადიონის ძირითად და სათადარიგო მოედნებს ევროპული სტანდარტების დონეზე კეთილმოაწყობს, ტექნიკურ ცენტრ „ბასას“ მშენებლობას კი ბოლომდე მიიყვანს.

* * *

**ახალ სეზონს საკმაოდ მომძლავრებული ხვდება ქუთაისის „ტორპედო“. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში კომპანია „ვისოლის“ ნაამაგარმა კლუბმა გია მეგრელაძე, ლევან წურწუმია, ლუკა გუგუჩია, რევაზ გოცირიძე, ლევან ქებაძე და ნიკა მაისურაძე დაიმატა, ხოლო გრიგოლ დოლიძესთან კონტრაქტი, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში გაფორმდება.**

ეს უკანასკნელი XXII ეროვნული ჩემპიონატის სტარტზე ზუგდიდის „ბაიაში“ თამაშობდა, საიდანაც ამ გუნდის ფინანსური გაჭირვების გამო წამოვიდა.

შეგახსენებთ, რომ ერთ დროს ბოლნისის „სიონისა“ და დედაქალაქის „ამერის“ 27 წლის ნახევარმცველი მარჯვენაფლანგელის პოზიციაზე სამშობლოში საუკეთესოდ ითვლებოდა, ხოლო აზერბაიჯანულ „სიმურგში“ გადასულმა მძიმე ტრავმის გამო სამი წელიწადი უქმად გაატარა.



* * *

**ძირფესვიანად გადახალისდა ეროვნული ჩემპიონატის მაჩანჩალა „ცხინვალიც“. კერძოდ, დევნილთა კლუბი ძირითადი შემადგენლობის თერთმეტ ფეხბურთელთან ერთად თბილისის „დინამოს“ მმართველობაში გადაბარგებულმა მისმა აწ უკვე ყოფილმა სპორტულმა დირექტორმა მურთაზ შელიამაც დატოვა.**

რაც შეეხება შევსებას, უკვე გადაწყდა ორი თანამემამულისა და ერთი ვლადიკავკაზელის დამატების საკითხი, თუმცა მათ ვინაობას შიდაქართლელთა თავკაცი ბადრი კვარაცხელია ჯერჯერობით არ ამჟღავნებს.

სამაგიეროდ, მან არ დამალა შეგირდთა უახლოესი გეგმები. ცხინვალელებმა წვრთნა თბილისში გუშინ განაახლეს და 9 იანვარს ტესტმატჩს აქვე გამართავენ ბოლნისის „სიონთან“, ხოლო 10 იანვარს ურეკში გაემგზავრებიან, სადაც 22 იანვრამდე ივარჯიშებენ. საკონტროლო შეხვედრები ზღვისპირეთშიცაა ნავარაუდევი და ერთ-ერთი მეტოქე მეორელიგელი მარტვილის „მერანი“ იქნება. სწორედ ამ გუნდის ორი მოთამაშეა „ცხინვალის“ სელექციონერთა უახლოესი სამიზნე.

* * *

**უკვე გაუწყეთ, რომ ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე უსახსრობით გატანჯულმა „სამტრედიამ“ დუბლიორებით ჩაამთავრა, თუმცა ახალი წლის წინ შუქი გვირაბის ბოლოს იქაური მკვიდრის კახი კალაძის სახით გამოჩნდა.**

ჯერ იყო და ეროვნული ნაკრების კაპიტანმა მშობლიურ ქალაქში თავისივე სახელობის ბავშვთა საფეხბურთო სკოლას ჩაუყარა საფუძველი, რამდენიმე დღეში კი გია გიგატაძის შეგირდებს 10 000 დოლარი უფეშქაშა.

„ჯენოას“ ლეგიონერის ზრუნვის საგანმა წინასასეზონო შეკრება 10 დეკემბერს დაიწყო, ხოლო მეორე ეტაპს 8 იანვრიდან შეუდგება.

* * *

**ინგლისი. XXI ტური.** „ვესტ ბრომვიჩი“ – „მანჩესტერი“ 1:2, „ჩელსი“ – „ასტონ ვილა“ 3:3, „სიტი“ – „ბლექპული“ 1:0, „ბირმინგემი“ – „არსენალი“ 0:3, „ტოტენჰემი“ – „ფულჰემი“ 1:0.

**ესპანეთი. XVII ტური.** „ბარსელონა“ – „ლევანტე“ 2:1, „ბილბაო“ – „დეპორტივო“ 1:2, „ვალენსია“ – „ესპანიოლი“ 2:1, „სევილია“ – „ოსასუნა“ 1:0.

* * *

ურუგვაული გამოცემა „ელ პაისის“ ტრადიციული რეფერენდუმის შედეგების მიხედვით, სამხრეთ ამერიკის 2010 წლის საუკეთესო ფეხბურთელი არგენტინელი ლიბერტადორესის თასის მფლობელი ანდრეს დალესანდრო (ბრაზილიის ქალაქ პორტუ-ალეგრის „ინტერნასიონალი“ძ გახდა, რომელმაც 10 ქულით გაუსწრო წინა ორი გამოკითხვის თანამემამულე გამარჯვებულს ხუან სებასტიან ვერონს („ესტუდიანტესი“ძ.

* * *

**პოპულარული ესპანური გაზეთის „მარკას“ მკითხველებმა განვლილი სეზონის სიმბოლური ნაკრები შეადგინეს, რომელიც ასე გამოიყურება:**

**მეკარე** – კასილიასი („რეალი“ძ.

**მცველები** – მაიკონი („ინტერი“ძ, პიკე („ბარსელონა“ძ, პუიოლი („ბარსელონა“ძ, ბეილი („ტოტენჰემი“ძ.

**ნახევარმცველები** – ალონსო („რეალი“ძ, ხავი („ბარსელონა“ძ, ინიესტა („ბარსელონა“ძ, რონალდუ („რეალი“ძ.

**თავდამსხმელები** – მესი („ბარსელონა“ძ, ვილია („ბარსელონა“ძ.

**როგორც ხედავთ, თერთმეტიდან 9 რჩეული პრიმერადივიზიონელია, 6 კი – ბარსელონელი.**

გიორგი შოთაძე

ჩოგბურთი

# ანა – ბრისბენის მთავარ ბადეში



**ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში 2010 წლის 31 დეკემბერს დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 220 ათასი დოლარიძ, რომლის საკვალიფიკაციო ბადეში ანა ტატიშვილიც ჩაება.** ჩვენებურმა პირველ წრეში ბელარუსი დარია კუსტოვა დაამარცხა დაძაბულ ბრძოლაში – 7:6, 7:6. მეორე წრეში 1 იანვარს ხორვატ კაროლინა შპრემთან პირველი სეტი 2:6 დათმო, მაგრამ შემდეგ იყოჩაღა და მეტოქეს 7:5 და 6:3 მოუგო. საკვალიფიკაციო ეტაპის გადამწყვეტ პაექრობაში ჰოლანდიელ არანჩა რუსს აჯობა 6:2, 6:4 და ძირითად ბადეში მოხვდა. აქ კი ქართველ ჩოგბურთელს ჩეხი ბარბარა ზაჰლავოვა-სტრიკოვა დაუპირისპირდება. წარმატების შემთხვევაში რუსი ალისა კლეიბანოვას მძლეველ ავსტრალიელს – სალი პეერსს შეხვდება.

ლაშა დიდია

ჭადრაკი

# სოჩკოების ბენეფისი

**სამი ქართველი მოჭადრაკე მონაწილეობდა საფრანგეთის ქალაქ ბუტიუნის საერთაშორისო ფესტივალში. ქალთა ტურნირში მხოლოდ ოთხი მანდილოსანი იბრძოდა პირველობისთვის წრიული სისტემით და ორ წრედ. 4,5 ქულით პოლონელმა მონიკა სოჩკომ გაიმარჯვა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა და მეორე ადგილზე გავიდა ბელა ხოტენაშვილი. მესამე-მეოთხე ადგილები გერმანელმა ელიზაბეტ პეტცმა და ფრანგმა მიიემ გაინაწილეს.**

მთავარ ტურნირში კარგად იასპარეზა საქართველოს 2009 წლის ჩემპიონმა თორნიკე სანიკიძემ. მან 9 შესაძლებლიდან 7 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. ამდენივე ქულით, მაგრამ უკეთესი კოეფიციენტით მეორე იყო ფრანგი იულის მუსარი. 7,5 ქულით მთავარი პრიზი პოლონელმა ბარტოშ სოჩკომ დაისაკუთრა. 6 ქულით მალხაზ სულაშვილს მე-15 ადგილი ხვდა.

ლექსო ცინცაძე

რეიტინგი



# რჩეულთა კოჰორტა

**თურქეთში მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვებით 16 წლის ჩინელმა მოჭადრაკემ ჰოუ იფანმა რეიტინგი 11 პუნქტით გაიმდიდრა და ქალთა კლასიფიკაციაში მეორე ადგილზე მყოფ ინდოელს ჰამფი კონერუს (2607ძ ხუთი პუნქტით ჩამორჩება.** პირველ ადგილზე უწინდებურად უნგრელი იუდით პოლგარია (2686ძ. ათეულში მომდევნო ადგილებზე მოდიან რუსი დები – ტატიანა (2570ძ და ნადეჟდა (2552ძ კოსინცევები, რომლებსაც ძალიან მიუახლოვდა ნანა ძაგნიძე (2550ძ, რომელსაც მე-6 საფეხური უკავია. 7. ანტუანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2534ძ, 8. ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2529ძ, 9. ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2526ძ, 10. ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 2520ძ.

ნანა ძაგნიძის გარდა, პირველ ასეულში კიდევ 13 ქართველია: 14. მაია ჩიბურდანიძე (2502,ძ 35. ნაზი პაიკიძე (2455ძ, 42. სალომე მელია (2449ძ, 47. ბელა ხოტენაშვილი (2440ძ, 48. ლელა ჯავახიშვილი (2438ძ, 49. სოფიკო ხუხაშვილი (2437ძ, 50. ნინო ხურციძე (2436ძ, 71. ანა მათნაძე (2397ძ, 73. ნინო ბაციაშვილი (2396ძ, 89. თამარ წერეთელი (2379ძ, 92. ინგა ჭარხალაშვილი (2375ძ, 100-101. ნონა გაფრინდაშვილი (2362ძ და მირანდა მიქაძე (2362ძ.

ვაჟებში პირველი ათეული ასეთია: მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2814ძ, ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2810ძ, ლევონ არონიანი (სომხეთი, 2805ძ, ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი, 2784ძ, სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2776ძ, ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2775ძ, ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2773ძ, შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2772ძ, ვასილი ივანჩუკი (უკრაინა, 2764ძ, ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2751ძ. ბაადურ ჯობავას 2707 პუნქტით 36-ე ადგილი უკავია.

გივი გაგუა

ინტერნეტიდან

## საახალწლო „დაკარი“

**საახალწლოდ ბუენოს-აირესში სტარტი აიღო მორიგმა რალი-რეიდმა „დაკარი“. მასში მონაწილეობს 430 ეკიპაჟი.**

2011 წლის რბოლის წესებში მთავარი ცვლილება მოტორბოლების ელიტურ დივიზიონში ძრავების ლიმიტირებული მოცულობაა. ახლა რბოლაში მონაწილეობის უფლება აქვთ 450 კუბურ სანტიმეტრზე ნაკლები მოცულობის ძრავებიან მოტოციკლეტებს, რამაც „დაკარში“ გაცილებით მეტი სპორტსმენი და მანქანების მწარმოებელი მოიზიდა. მსუბუქი ავტომანქანების ჩათვლაში გამარჯვების მთავარ პრეტენდენტად ითვლება Wolkswagen. საავტომობილო რბოლაში მონაწილეობს 146 ეკიპაჟი.

სატვირთო ავტომანქანების რბოლაში კი ფავორიტად Kamaz-ს მიიჩნევენ. აქ 68 ეკიპაჟი შეეჯიბრება ერთმანეთს.



მარათონის ტრასა გაივლის არგენტინისა და ჩილეს ჩრდილოეთში ბოლივიისა და პერუს საზღვრებთან ახლოს. ის 11 იანვრამდე გაგრძელდება.



## ანტიკორუფციული კომიტეტი ფიფაში

**როგორც როიტერის სააგენტო იტყობინება, ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა გადაწყვიტა ანტიკორუფციული კომიტეტის შექმნა. კომიტეტში შევა შვიდიდან ცხრა წევრამდე, ბლატერის თქმით, ისინი იქნებიან ადამიანები „არა მხოლოდ სპორტიდან, არამედ პოლიტიკიდანაც, ფინანსებიდან, ბიზნესიდან და კულტურიდან“. თავად პრეზიდენტი ახალ სტრუქტურაში შესვლას არ აპირებს. ახალი კომიტეტის ჩამოყალიბება გათვალისწინებულია ფიფას კონგრესისთვის, რომელიც 2011 წლის ივნისში უნდა გაიმართოს.**

ალბათ გახსოვთ, რომ შარშან კორუფციაში საკუთარი ხმებით ვაჭრობაში დაადანაშაულეს სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტი, ნიგერიელი ამოს ადამუ და ოკეანიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი რეინალდ ტემარიი. მათ ადგილები დაკარგეს ფიფას აღმასკომში.

თუმცა შემდეგ ბრიტანელმა ჟურნალისტებმა სცადეს სკანდალის აგორება ბრაზილიელი რიკარდო ტეიშეირას, პარაგვაელი ნიკოლას ლეოსისა და კამერუნელი ისა აიაიატუს წინააღმდეგ, მაგრამ ფიფას განცხადებით, არც ერთი მათგანის წინააღმდეგ არ იყო წარდგენილი ოფიციალური ბრალდება.

## მსოფლიოს დაპყრობა უნდა

**პარაგვაელი მოდელი ლარისა რიკელმე გახდა 2010 წლის მთავარი ვარსკვლავი. თავისი მადისაღმძვრელი ფორმებით ქალიშვილმა გაიმარჯვა სამხრეთ აფრიკაში გამართული მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის დროს. მას შემდეგ მან მრავალჯერ გაახარა საზოგადოება პიკანტური ფოტოსესიებით.**

„2010 წელს ასრულდა ჩემი ოცნება, – აღიარა ქალიშვილმა, – ძალზე ბევრს ვმუშაობდი, რათა სახელოვანი გავმხდარიყავი. და აი, ახლა მთელი მსოფლიო მიცნობს, ეს წელი ჩემთვის ორგაზმივით იყო“.



„მუნდიალის“ დამთავრებისთანავე სხვადასხვა გამოცემებმა ლამაზმანი თითქმის გაწეწეს მისი ხელში ჩასაგდებად. ლარისაც ყველაფერზე თანხმდებოდა, თან ფულს ითვლიდა. ბევრიც მოიხვეჭა, თუმცა მიღწეულით არ კმაყოფილდება: „2011 წელს მე სილიკონს დავიმატებ და მსოფლიოს დავიპყრობ! – დამაჯერებლად აცხადებს რიკელმე – მე ხომ ყველას ვუყვარვარ და ჩემი თავი სურს“.

ჩვენი კარაბადინი

# ასაკი — ეს სულიერების მდგომარეობაა



## „ბიოლოგიურ საათს“ უნდა ვუმკურნალოთ პირდაპირ ტვინში

**ამბობენ, რომ სამეცნიერო ქალაქ სკოლკოვოში ყოველივე სხვა რამესთან ერთად მეცნიერები იმუშავებენ საკითხზე, თუ როგორ დავძლიოთ სიბერე. ამ კვლევებში უკვე სიამოვნებით აბანდებენ ფულს რუსი ოლიგარქებიც. მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ყოფილი მეცნიერი მუშაკი მიხაილ ზაიცევი მიიჩნევს, რომ ადამიანის დაბერების პროცესის შეჩერება უკვე დღესვე შეიძლება.**

**— რატომ არის, რომ ორგანიზმი ჯერ იზრდება და ვითარდება, შემდეგ ხდება მისი დეგრადირება და ბოლოს სიკვდილიც? თუ ამას გამოვარკვევთ, შევძლებთ შევაჩეროთ თავად დაბერებაც.**

### გენეტიკა არაფერ შუაშია?

**საინტერესოა კვდომის მექანიზმი უმაღლეს მცენარეებში. ხეები იზრდებიან მთელი სიცოცხლის განმავლობაში და ერთ მომენტში უკვე აღარ შეუძლიათ მოიპოვონ საკვები ნივთიერებანი და წყალი საკუთარი უჯრედებისთვის. დიდი მოცულობის გამო მათ უკვე ძალა აღარ ჰყოფნით. ხე ხმება. გარეგნულად ეს პროცესი ჰგავს უმაღლეს ძუძუმწოვართა და ადამიანთა დაბერებას. მაგრამ არის სხვაობაც: ჩვენ მთელი ცხოვრების განმავლობაში არ ვიზრდებით, საკვებ ნივთიერებათა მოპოვების სისტემა უჯრედებისთვის ჩვენ გაცილებით უფრო სრულყოფილი გვაქვს, ვიდრე მცენარეებს.**

თანამედროვე გერონტოლოგია ცდილობს, გაახანგრძლივოს და შეინარჩუნოს უჯრედების სიცოცხლისუნარიანობა, აგრეთვე გამოძებნოს სახელგანთქმული „დაბერების გენი“. ასეთი მიდგომა უპერსპექტივოა. ადამიანის უჯრედები ახლდება საშუალოდ ყოველ 100 დღეში ერთხელ. ან თითქმის 300-ჯერ 80 წლის განმავლობაში! გამოდის, რომ ადამიანი კვდება სიბერის გამო, თანაც ამ დროს აქვს ჯანსაღი უჯრედები! ცხადია, რომ არანაირი საშუალება, რაც უჯრედებს ამტკიცებს, პრინციპულად სიტუაციას ვერ შეცვლის. ლოგიკა გვიჩვენებს, რომ განვითარების ეტაპების მართვა, მათ შორის, დაბერებისაც, შესაძლებელია მხოლოდ ორგანიზმის მთლიანობის დონეზე.

ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გვაქვს ორგანო ან სტრუქტურა, რომელიც ჯერ ხელს უწყობს ორგანიზმის განვითარებას, მხარს უჭერს მას, შემდეგ კი მასვე „ახრჩობს“ — ეს არის ადამიანის ერთგვარი „ბიოლოგიური საათი“.

### ჰორმონები — ოქროს ფასად

**ორგანიზმში დიდ როლს ასრულებენ ჰორმონები. მათი წყალობით შეიძლება გავაძლიეროთ ან დავასუსტოთ ნებისმიერი პროცესი. ყველაზე მნიშვნელოვანი კი არის ეგრეთ წოდებული მმართველი ჰორმონები, რომლებიც გამომუშავდება ტვინის ჰიპოტალამო-ჰიპოფაზერულ სისტემაში. და ეს სისტემა — ორგანიზმის ყველაზე დაცული ადგილია! ჰიპოფიზი საერთოდ განთავსებულია ძვლის არხში და კავშირი აქვს დანარჩენ ორგანოებთან და სისტემებთან მხოლოდ წვრილი არხით.**



ერთ მომენტში ორგანიზმში ირღვევა ნივთიერებათა ცვლა, და სწორედ აქედან იწყება დაბერება. ახლა ყველაზე მთავარია: არხის მოცულობა, რომელშიც შემოდიან ჰორმონები, იზრდებიან მანამ, სანამ იზრდება ორგანიზმიც. ამ ზრდის დასრულებასთან ერთად არხის ყელის გამტარუნარიანობა უკვე აღარ იცვლება. მაშასადამე, ნივთიერებათა ცვლის დაქვეითება პირდაპირ არის დაკავშირებული დაბერებასთან.

რატომ არ შეიძლება გაახალგაზრდავებისთვის მოვახდინოთ ფიზიოლოგიური უკმარისობის კომპენსაცია ჰორმონების გაზრდით, რომლებიც გამოდიან ჰიპოფიზიდან? მედიცინისთვის ცნობილია ბევრი ასეთი მასტიმულირებელი პრეპარატი. მაგრამ, სამწუხაროდ, ექიმები თავიანთ პრაქტიკაში იყენებენ მხოლოდ 1-2 წამალს, ეს კი აშკარად ცოტაა, რათა მოვიცვათ ნივთიერებათა ცვლის მთელი მრავალსახეობა. ასაკთან ერთად ჩვენში ვითარდება ყველა ჰორმონის უკმარისობა, ამიტომ საჭიროა, მოვახდინოთ თითოეული რგოლის კომპენსირება ცალ-ცალკე. აღსანიშნავია, რომ ყველა აუცილებელი პრეპარატი შედის ტრადიციულ დაავადებათა მკურნალობის კურსში — ესენია გულის იშემიური დაავადება, ასთმა, ოსტეოხონდროზი, ცერებლარული დაავადებანი. და უკვე დღეს, საერთოდ, ხელმისაწვდომი წამლების კომპლექსის დანიშვნას მივყავართ საკუთარი შეგრძნების საგრძნობ გაუმჯობესებასთან, სასიცოცხლო ძალების გაზრდასთან. გაიხსენეთ, 2007 წელს ჩინოვნიკები როგორი კმაყოფილებით საუბრობდნენ სიკვდილიანობის 20 პროცენტით შემცირებაზე ქვეყანაში და შემდეგ კი ამის შესახებ „დაივიწყეს“. მიზეზი ხომ მარტივი იყო: იმ წელს დამატებითი სამკურნალო უზრუნველყოფის პროგრამით უფასოდ და შეუზღუდავად უწერდნენ პრეპარატების ნებისმიერ ჯგუფს, მათ შორის, ისეთებსაც, რომლებიც აუმჯობესებენ ნივთიერებათა ცვლას. და მოხუცმა ინვალიდებმა ნორმალურად გადაიტანეს 2007 წელი, ისინი დაიხოცნენ უკვე მომდევნო წლებში, როდესაც წაართვეს ასეთი საფუძველი.

რასაკვირველია, „სიბერის მკურნალობისთვის“ მედიკამენტებით, დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი პროპორციებისა და დოზების დაცვას. ეჭვი არ მეპარება, რომ კომპლექსური პრეპარატი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავიცილოთ ასაკობრივი დარღვევები და აღვიდგინოთ ნივთიერებათა „ახალგაზრდული ცვლა“, შეიქმნება. და ეს მნიშვნელოვნად გადასწევს სიკვდილის დადგომას მოხუცებულობის გამო. და კიდევ ერთი მიდგომა დაბერებასთან ბრძოლაში — ეს არის ქირურგიული ჩარევა. თუ გავაფართოვებთ ძვლის შალითას, რომელშიც მოთავსებულია ჰიპოფიზი (ეგრეთ წოდებული თურქული უნაგირიძ, შეიძლება მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ნივთიერებათა ცვლა და ამით შევაჩეროთ „ბიოლოგიური საათის“ სვლა.

# მისწვდებიან ყველგან... ხელსაწყოს დახმარებით

**კარელიის პროგრამისტებმა მსოფლიოში პირველად დანერგეს სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა, გადავარჩინოთ ძნელად მისადგომ ადგილებში მყოფი ადამიანების სიცოცხლე.**

მეცნიერების ენაზე ის, რაც პეტროზავოდსკში გააკეთეს, ჟღერს როგორც უმავთულო სალოკაციო სისტემა. მისი მოქმედების პრინციპი მარტივია: თითოეული ადამიანი ლებულობს ხელში პატარა შუქურას, რომელიც გადასცემს სიგნალებს საშუალედო სადგურზე, და მასთან ერთად ყველა მონაცემს ავტომატურ რეჟიმში სპეციალურ სერვერზე. ეს ძალიან მოგვაგონებს ნავიგატორებს, რომლებიც მიკერებულია კოსმოსურ თანამგზავრებზე, მაგრამ კარელიის მეცნიერების დამუშავება შეიძლება გამოვიყენოთ დახურულ შენობებშიც. აგრეთვე იმ სიტუაციებშიც, სადაც ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო შეუძლებელია თანამგზავრების გამოყენება — მაგალითად, მთებში ანდა მიწისქვეშ. უფრო მეტიც, სისტემა საშუალებას გვაძლევს, უზრუნველვყოთ ორმხრივი კავშირი. ადამიანის ადგილსამყოფელის განსაზღვრის სიზუსტე 1-დან 5 მეტრამდეა. არც ერთ სხვა სისტემას მსოფლიოში ეს არ შეუძლია.

— ჩვენი რადიოტექნოლოგიის წინაპარი გაჩნდა 90-იანი წლების ბოლოს გერმანიაში, — გვიამბობს პროექტის ხელმძღვანელი, პეტროზავოდსკის უნივერსიტეტის ფიზიკა-ტექნოლოგიური ფაკულტეტის კათედრის დოცენტი ალექსეი მოშჩევიკინი. — ჩვენ კი იდეა მივიყვანეთ რაციონალურ პროდუქტამდე, დავწერეთ პროგრამული უზრუნველყოფა თითოეული კომპონენტისთვის, შევქმენით საკუთარი სქემები.

პირველი დამკვეთი გახდა მთებში ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს მფლობელი შუა აზიის ერთ-ერთი რესპუბლიკიდან. კლიენტებს ურიგებენ კარელიაში დამუშავებულ მოწყობილობას. კავშირგაბმულობის სისტემა საშუალებას აძლევს სასტუმროს პერსონალს, თვალყური ადევნონ მდიდარ სტუმრებს მუდმივ რეჟიმში, უზრუნველყონ ტურისტების უსაფრთხოება. დამკვეთი კმაყოფილი დარჩა მიღებული შედეგებით და განაცხადა კიდეც, რომ მზად არის, მონაწილეობა მიიღოს პროექტის შემდგომ დაფინანსებაში.

მაგრამ ეს ძვირადღირებული კმაყოფილებაა და რიგით მომხმარებლამდე მალე ვერ მივა. სისტემის ფასი მინიმალურ კომპლექტაციაში 10 ათას დოლარს აჭარბებს. ამიტომ რუს დამკვეთებზე აქ ჯერჯერობით არც ოცნებობენ. ისევე, როგორც იმაზე, რომ გადავიდნენ სკოლკოვოში.

„ჩვენ უნივერსიტეტთან გვაქვს საკუთარი იტე-პარკი, — გვიამბობს ალექსეი მოშჩევიკინი, — მაგრამ განვითარებისთვის ჩვენ არ გვყოფნის... არა, განა ფული, არამედ არასაკმარისი კვალიფიციური სპეციალისტები — ჩვენი რესპუბლიკა ძალიან პატარაა. ფინეთიც ახლოა. ამიტომ ტვინიც სწორედ იქით გაედინება“.

და მანამდე კი ალექსეი და მისი კოლეგები ყოველდღიურად სრულყოფენ თავიანთ დამუშავებას, რომელიც შეიძლება დაეხმაროს მეშახტეებსაც, სამხედროებსაც, ტურისტებსაც.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

ინფორმაცია

### ავტოსაგზაო შემთხვევას შარშან ხუთასცხრა ადამიანი ემსხვერპლა

2010 წელს საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევების დროს 509 ადამიანია დაღუპული.

აღსანიშნავია, რომ საგზაო შემთხვევის რაოდენობა წინა წლებთან შედარებით შემცირებულია, კერძოდ კი 2009 წელს ავტოავარიის 4027 შემთხვევა დაფიქსირდა, რომლის დროსაც დაიღუპა 552 ადამიანი.

ასევე შემცირებულია დაშავებულთა რაოდენობაც. 2009 წელს საგზაო შემთხვევების შედეგად 6235, ხოლო 2010 წელს 5615 ადამიანი დაშავდა.

### ტრაგედია ახალი წლის ღამეს

შინაგან საქმეთა სამინისტრო ბავშვის გაუფრთხილებლობით მკვლელობასთან დაკავშირებით ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ სამართალდამცველებმა შემთხვევაში ეჭვმიტანილი 51 წლის გიორგი ლომთათიძე უკვე დააკავეს.

— გიორგი ლომთათიძემ, 31 დეკემბერს, ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით მეხუთე სართულის აივნიდან სამჯერ ისროლა, მისი კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღიდან, რის შედეგადაც გულ-მკერდის არეში დაჭრა იმავე კორპუსში, მეცხრე სართულის აივანზე მდგარი 11 წლის გიორგი ჭყოიძე, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა, — ნათქვამია განცხადებაში.

დანაშაულის იარაღი ამოღებულია. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ჯი-ეიჩ-ენი

გოდერძი, მანანა ბუკიები, გია, მარინა მახარაძეები, ზურაბ, ნანი ერქვანიები, თემურ, მანანა ხარებავები, თემურ, ლენა კვარაცხელიები, ნანა, მანანა კეკელიძეები, მარინა, ოლიკო მიქაძეები, ბიძინა, დარეჯან სონღულაშვილები, გურამ, მაია ახალაიები ოჯახებით თანაუგრძნობენ ლეილა გრძელიძეს და გივი ბარამიძეს დედისა და სიდედრის, უკეთილშობილესი ქალბატონის

შურა (ალექსანდრაძ
მუმლაძე-გრძელიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლო ნათესავებს.

---

ძმა გოგი, რძლები ნანული, ნინო, ძმისწულები მანანა, მარინა, ძმიშვილიშვილები ანუკი, გიორგი მდივნიშვილები, ლევან, გიორგი ჭოხონელიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოტია მალაქიას ძე მდივნიშვილი

---

ჯემალ კანდელაკი, ზაურ გონაძე, მალხაზ გელეიშვილი, გელა ჭუმბურიძე, გივი რაზმაძე, მამია ბაქრაძე, დევი ბერიძე, სულხან შარაშიძე, ელიზბარ ლომინაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ახლო მეგობრის

ოტია მდივნიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება საბურთალოს ქუჩა №7, 4 I, 14 სთ.

---

შპს „თბილგვირაბმშენის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყოფილი თანამშრომელი, ღვაწლმოსილი მუშაკი

მიხეილ დათებოვი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

ნომრის კარიკატურა



## დეზადორის მაგივრად

# სიბინძურის ყულაბა

### ანუ ვის როგორ ესმის სიტყვის თავისუფლება

**კოტე ყუბანეიშვილის „სვეტური პოეზიიდან“**
Weckend, პარასკევი, 31 დეკემბერი, 2010 წ.




მეცოდება საწყლები
პროჭები და ნაწყლები.

* * *

პროჭი თუ ხარ,
სუფთა მაინც უნდა იყო.

* * *

აქაც მე ვარ,
იქაც მე ვარ,
იმიტომ რომ
ყლე ვარ, ყლე ვარ.

* * *

იქ იყო დარაჯი,
არ სურდა შევეშვი,
მე თავზე დავაჯვი
და მერე შევეშვი.

* * *

დედა ღორია, ვინც უვლის გოჭებს
და მიაქვს მათთან რკოა თუ ხილი,
ამიტომ სწორედ მათ შემწვარ პროჭებს
ახალ წელს მინდა გამოვკრა კბილი.

„უიქენდს“ გამოსცემს გაზეთ „24 საათის“ რედაქცია. გამოცემის რედაქტორია მაია ჭალაგანიძე.

*„სრ“ რედაქციისგან: ახალი წლის დღეებში ვინ რას გამოჰკრა კბილი და კიდევ რას გამოჰკრავს, ღმერთმა შეარგოს, და ვისაც რა უნდა, ის იყოს, მაგრამ ჩვენ, საზოგადოებამ, რა დავაშავეთ. მით უმეტეს, „უიქენდის“ გამომცემლად „24 საათის“ მიერ რატომღაც დასახელებულია თვითონ საზოგადოება Weckend.*

*აი, როგორი ლექსიკით უტკბობს სმენას ჩვენს საზოგადოებას ოფიციოზი „24 საათი“.*

*ჩვენი რედაქცია ბოდიშს უხდის მკითხველს ამ „სვეტური“ კი არა, ნამდვილად „უნიტაზური“ პოეზიის ნიმუშების „უიქენდიდან“ გადმობეჭდვისთვის, მაგრამ იქნებ უკვე დროა, რომ სწორედ საზოგადოებამ თქვას თავისი სამართლიანად მკაცრი სიტყვა ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც აგრერიგად შეურაცხყოფს როგორც თვითონ მთელ ჩვენს საზოგადოებას, ისე ამ საზოგადოების თითოეულ წესიერ წევრს.*

## დაიჯესტი

### მთლად ნოდარ დუმბაძის ბეჟანასავით არა, მაგრამ მაინც...



**ხუმრობა არ გეგონოთ: სიცილი ძალიან სერიოზული საქმეა თუნდაც იმიტომ, რომ იგი ორგანიზმში ბუნებრივი გამაყუჩებლების, ასევე კარგი განწყობის ჰორმონების – ენდორფინების გამომუშავებას უწყობს ხელს. ეს ჰორმონები, თავიანთი ქიმიური შემადგენლობით, მორფინისა და ჰეროინის ანალოგიურნი არიან და ადამიანზე დამამშვიდებლად მოქმედებენ. მრავალი ადამიანი სპირტიან სასმელებსა და ნარკოტიკებს იმიტომ ეძალება, რომ თავი ისე იგრძნონ, როგორც ამას ბედნიერი ხალხი გრძნობს, ვინც ცხოვრების ნორმალური წესით ცხოვრობს.**

ჯანსაღი სიცილის ერთი წუთი ორგანიზმის მოდუნებას მომდევნო 45 წუთის განმავლობაში უზრუნველყოფს. ხოლო როცა 20 წამის განმავლობაში ვიცინით, ეს სამი წუთი ნავის ნიჩბის მოსმის ან 15 წუთი გამაჯანსაღებელი სირბილის ტოლფასია. თუმცა, სტატისტიკოსებმა დაითვალეს, რომ ზრდასრული ადამიანები დღეში მხოლოდ დაახლოებით 15-ჯერ იცინიან, სკოლამდელი პატარები კი – დღეში 400-ჯერ!

სიცილი მართლაც სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის: გამოკვლევების შედეგებით დადგინდა, რომ მხიარული ადამიანები მუდამ მოღუშულებსა და უხასიათოებზე გაცილებით იშვიათად ავადმყოფობენ.

### მშია, ქალო, მშია!



**„დავოჯახდი წლინახევრის წინათ. აღმოჩნდა, რომ ჩემ ცოლს სამზარეულოში არაფერი ესაქმება, რადგან ერბოკვერცხის შეწვა და ყავის მოდუღებაც არ იცის. მას რამდენიმე სამზარეულოს წიგნი ვუყიდე, მაგრამ საქმეს ვერც ამით ეშველა. ამ ხნის მანძილზე წონაში 20 კილოგრამი დავიკელი, რის დასტურად მთელი ამ დროის მანძილზე ავტომატურ სასწორზე ანგარიშების ქვითრებს წარმოგიდგენთ“,** – ამ არგუმენტაციით გაამაგრა კრაკოვის ერთ-ერთმა მცხოვრებმა სასამართლოში შეტანილი განცხადება გაყრის თაობაზე.

### თუ გინდათ, ქალს ტკბილად ესაუბროთ...

**ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ მოსაუბრეთა შორის მანძილი პირდაპირ კავშირშია... მოსაუბრეთა სიმაღლესთან. კერძოდ, რაც უფრო მაღალია მამაკაცი, მით უფრო ახლოს მიდის თანამოსაუბრესთან და, პირიქით, რაც უფრო ტანმორჩილია, მით უფრო შორს დადგომას ცდილობს იგი თანამოსაუბრისგან. ამასთან, ქალებში ეს დამოკიდებულება სრულიად საწინააღმდეგოა.**

ოქსფორდელ მეცნიერთა ჯგუფმა, რომელსაც პროფესორი მ.არგაილი ხელმძღვანელობდა, ამ უცნაურ მოვლენას სავსებით ლოგიკური ახსნა მოუძებნა. საქმე ის არის, რომ ჩვენს საზოგადოებაში თავისებური „კულტურული ნორმა“ შეიქმნა: მამაკაცი მაღალი უნდა იყოს, ქალი კი, პირიქით, მინიატიურული. სინამდვილეში ხშირად პირიქით ხდება, თუმცა ყველანი, გაუცნობიერებლად, მაინც ამ სტერეოტიპისკენ ვისწრაფვით. ამიტომ არის, რომ ტანმაღალ მამაკაცს არ სიამოვნებს თანამოსაუბრესთან ახლოს დადგომა, მაღალი ქალი კი პირიქით, თავის ნაკლის დამალვას ცდილობს.



აქედან გამომდინარე, საუბრისას ნუ ეცდებით ტანმაღალ თანამოსაუბრე ქალთან ან ტანმორჩილ კაცთან მიახლოებას, ვინაიდან მაშინ ისინი თავს უხერხულად გრძნობენ.

ასევე ფსიქოლოგები დაინტერესდნენ, თუ რა როლს ასრულებენ საუბრისას თვალები, რადგან სწორედ თვალით ვანიშნებთ თანამოსაუბრეს, რომ აზრის გამოთქმა დავასრულეთ და მზად ვართ მოსაუბრე მხარის აზრის მოსასმენად, ვეთანხმებით თუ არა მას და ა.შ. მაშასადამე, თუკი ერთ-ერთ თანამოსაუბრეს სახის ზედა ნაწილს დავუფარავთ, მაშინ რეაქციის გამოსახვა ქვედა ნაწილმა უნდა იტვირთოს. მართლაც, აღმოჩნდა, რომ „უხილავ“ კაცთან საუბარი გაცილებით ნაკლებად სასიამოვნოა. ამავე დროს, საკუთარი „უჩინმაჩინობა“ ნაკლებ დისკომფორტს გვიქმნის. ოქსფორდელ მეცნიერთა აზრით, ამის მიზეზი ყველასთვის კარგად ცნობილ უკუკავშირშია – საუბრის დროს ჩვენ მიჩვეულნი ვართ ჩვენს სიტყვებთან ან დათანხმებას, ანდა უარყოფას. ამასთან, გაირკვა ერთობ საგულისხმო გარემოებაც: ქალებზე უკუკავშირის ზემოქმედება გაცილებით უფრო ძლიერად აისახება, ვიდრე მამაკაცებზე, რაც მეტად თავისებურად გამოიხატება – უხილავ მოსაუბრესთან მამაკაცები უფრო აქტიურად ლაპარაკობენ, ქალები კი პირიქით, ლამის დუმდებიან. აქედან გამომდინარეობს საინტერესო დასკვნა: თუ გინდათ ქალს ტკბილად ესაუბროთ, მას პირდაპირ სახეში გულღიად უნდა უცქიროთ. ასევე უნდა მოიქცეთ მაშინაც, როცა გინდათ, რომ თქვენმა თანამოსაუბრე მამაკაცმა ყველაფერი გულწრფელად გიამბოთ, ხოლო თუკი მისი დროზე გაჩუმება გსურთ – მის თვალებს თვალი არ უნდა მოაცილოთ.

**იყიდება სასწრაფოდ!**

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ

ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

**ამინდი დღეს**

| | |
|---|---|
| თბილისი. | -1 – +12 |
| ქუთაისი. | +8 – +18 |
| ბათუმი. | +7 – +18 |
| ზუგდიდი. | +3 – +18 |
| თელავი. | +1 – +12 |

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

ცოლი საზღვარგარეთული მივლინებიდან დაბრუნდა და ქმარს შთაბეჭდილებებს უზიარებს.

– კიდევ, – ამბობს იგი, – სტრიპტიზიც გვაჩვენეს. ისეთი საზიზღარი სანახაობაა! ახლავე გაჩვენებ, – გაუღიმებს ქმარს და ნელ-ნელა იწყებს გახდას.

ქმარი უყურებს, უყურებს და დაასკვნის:

– მართლაც საზიზღარი სანახაობაა...

* * *

– ექიმო, ამ ბოლო ხანს რაღაცნაირი ბრაზიანი და გაღიზიანებული ვარ.

– მაპატიეთ, რა თქვით?

– ნუ მაღიზიანებ, შე დამპალო!

* * *



– პირდაპირ გასაოცარია, როგორ ახერხებთ, რომ თქვენს ატელიეში გადაღებულ ფოტოებზე ყველანი ასე ბუნებრივად და ძალდაუტანებლად იღიმიან?

– ეს არ გაგიკვირდებოდათ, რომ განახათ, როგორი სიფათი აქვს ჩვენს ფოტოგრაფს.

* * *

მოდერნიზაცია – ეს არის შემთხვევა, როდესაც ნათურა ხუთჯერ ძვირი ჯდება მის მიერ დაზოგილ ელექტროენერგიასთან შედარებით.

* * *

მისი გვარი არ ჩამოდიოდა აფიშებიდან, სადაც ის უცვლელად ფიგურირებდა ჩამონათვალში „და ასე შემდეგ“.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.